

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია

2018-2019

თბილისი - 2017 წელი

სარჩევი

	გვ
შესავალი	3
თავი 1. სიტუაციური ანალიზი და უმთავრესი გამოწვევები	5
თავი 2. სტრატეგიის ხედვა, მიზანი და ამოცანები	8
- ინსტიტუციური განვითარება, რჩევების გაცემა და დამხმარე საქმიანობა	8
- შედეგებზე ორიენტირებული ინდიკატორები და ხარჯების შეფასება	9
- სტრატეგიის განხორციელება და მართვის მექანიზმები	10
- სტრატეგიის განხორციელების რისკები, ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება	11
- სამოქმედო გეგმა წლების მიხედვით	12
თავი 3. სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორების როლი სასოფლო - სამეურნეო ექსტენციაში	14
- ექსტენციის სერვისები	15
- ექსტენციის სერვისების მიწოდება, განათლება და კვლევა.....	15
- ექსტენციის ინფრასტრუქტურა, მონიტორინგი და შეფასება.....	16
თავი 4. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მიდგომა და მიზნობრიობა	18
- ექსტენციის ფორმები და პრიორიტეტული სექტორები	18
- ექსტენციის სამიზნე ბენეფიციარები, გზავნილები და პაკეტები	21
თავი 5. ექსტენციის სამსახურის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა	23
თავი 6. საინფორმაციო სისტემები და თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან	35
ტერმინთა განმარტებები	38
დანართები	41
დანართი 1. მიდგომა და მიზნობრიობა, ზოგადი მოსაზრებები	
დანართი 2. სასოფლო - სამეურნეო ექსტენციის გზავნილების მაგალითები	
დანართი 3. სასოფლო - სამეურნეო ექსტენციის პაკეტების მაგალითები	
დანართი 4. საინფორმაციო სისტემების დეტალური აღწერა	

შესავალი

წარმოდგენილი დოკუმენტის მოამზადება დაიწყო ექსტენციის სტრატეგიის პროექტის შესამუშავებლად შექმნილმა ჯგუფმა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს N2-183 ბრძანებით. ჯგუფს დახმარება აღმოუჩინა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ENPARD პროგრამის დაფინანსებითა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) განხორციელებით მიმდინარე „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური დახმარების“ პროექტმა. აქვე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, როგორც კერძო და არასამთავრობო სექტორის, ასაევე სხვადასხვა საერთაშორისო მისიებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ძალიან დიდი მხარდაჭერა და დაინტერესება, რაც გამოიხატა მათი მხრიდან სტრატეგიის დოკუმენტის არაერთჯერად განხილვებში აქტიური მონაწილეობითა და გამოთქმულ სხვადასხვა სახის შენიშვნებსა, თუ რეკომენდაციებში

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია სახელმწიფო სასოფლო - სამეურნეო ექსტენციის სისტემის განვითარების სტრატეგია იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რომლებიც ფერმერებს ხვდებათ ცოდნის მიღების გზაზე, რაც შესაბამისად აფერხებს დარგის პროდუქტიულობის, მომგებიანობისა და კონკურენტუნარიანობის შემდგომ ამაღლებას.

ექსტენციის მიზანია ფერმერთათვის საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდება. ეს მიზანი „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის 2015-2020“ დოკუმენტშიცაა ასახული „აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების“ სტრატეგიულ მიმართულებასა და „ფერმერთა ცოდნის ამაღლებისა და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევის“ ღონისძიებაში. ამ მიზნის მისაღწევად 2013 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ფერმერთათვის ინფორმაციისა და რჩევების მიწოდების მიზნით თითოეულ მუნიციპალიტეტში შექმნა 54 „საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური“ და დააკომპლექტა 247 პროფესიონალი კონსულტანტით. ფერმერთათვის ცოდნის გადაცემის მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენდა 2014 წელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანიც სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიების კვლევა - დანერგვა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ცნობადობის ამაღლება გახლავთ.

ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების მესამე ტრანშის მონიტორინგის მისიის დასკვნაში აღინიშნა, რომ საქართველომ ძირითადად დააკმაყოფილა რა აღებული ვალდებულებები, წარმოადგინა რამოდენიმე რეკომენდაცია ამ სამსახურების მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ კერძოდ:

- სისტემების, პროცედურების, ტრენინგის და უპირველეს ყოვლისა, მართვის გაუმჯობესება;

- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სახელმძღვანელოს მომზადება ექსტენციონისტთა საქმიანობის წარმართვისა და გაუმჯობესებისთვის;
- მთელი ქვეყნის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის კამპანიის წარმართვა ტელევიზიის, ვიდეო და ნაბეჭდი მასალების მეშვეობით;
- საცდელი და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა ფერმერებისთვის იმის საჩვენებლად, თუ რა „მუშაობს“;
- ექსტენციის ზეგავლენის მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის გამოყენება სისტემის გასაუმჯობესებლად;
- არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ფუნქციების გამიჯვნა მხოლოდ ექსტენციის საკითხებზე მომუშავე იმ პერსონალის გამოყოფით, რომელიც არ იქნება დაკავებული სხვა დავალებებით;
- ექსტენციის სტრუქტურის გაძლიერება მუნიციპალურ, რეგიონულ და მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მასალების შექმნა და ექსტენციის სამსახურის მართვაში ფერმერთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

შესაბამისად, შეაჯერა და გაანალიზა რა სხვადასხვა მოსაზრებები, შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო) საბოლოოდ შეიმუშავა და წარმოადგინა სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგის დოკუმენტი. ეს დოკუმენტი გულისხმობს მისი განხორციელების 2 ეტაპს:

ეტაპი 1 (2018 წელი) - პილოტ- რეგიონების შერჩევა სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მექანიზმების შემუშავება-აპრობაციისთვის;

ეტაპი 2 (2019 წელი) - ექსტენციის შემუშავებული მექანიზმების რეპლიკაცია ქვეყნის სხვა რეგიონებში და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრის იურიდიული გაფორმება.

წარმოდგენილი სტრატეგიის განხორციელება და ფერმერთა ჩართულობა სასოფლო-სამეურნეო ექსტენციაში ასევე უზრუნველყოფილი იქნება „ფერმერთა საბჭოების“ მეშვეობით მუნიციპალურ, რეგიონულ და მთელი ქვეყნის მასშტაბით. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის ეს და სხვა საკითხები დეტალურადაა განხილული დოკუმენტის ქვემოთ წარმოდგენილ თავებში.

თავი 1. სიტუაციური ანალიზი და უმთავრესი გამოწვევები

საქართველოში არსებული ასიათასობით ფერმერი პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ სამ ჯგუფად:

- ✓ ძალიან მცირე მეურნეობები (0-1.25 ჰა-მდე), რომლებიც პროდუქციას საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ;
- ✓ მცირე და საშუალო ზომის მეურნეობები (1.25 ჰა-დან 5 ჰა-მდე), რომლებიც არაფორმალური ან ფორმალური ბაზრების მეშვეობით პროდუქციას რეალიზაციისათვის აწარმოებენ;
- ✓ მსხვილი მეურნეობები (5 ჰა და მეტი) და კოოპერატივები, რომლებიც იყენებენ დაქირავებულ შრომას და ყიდიან პროდუქტს ფორმალური ბაზრების მეშვეობით.

უმრავლეს შემთხვევაში მიწის, პირუტყვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების უდიდესი ნაწილი სწორედ მეორე ჯგუფზე მოდის, თუმცა ცალკეულ ინდუსტრიულ პროდუქტს უმეტესად მსხვილი მეურნეობები და კოოპერატივები აწარმოებენ. სექტორთა უმრავლესობაში პროდუქტიულობა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის ნახევარს თუ შეადგენს და შესაბამისად, გაუმჯობესების პოტენციალი საკმაოდ მაღალია.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაბალ პროდუქტიულობას რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე, მწირი ინფორმაცია ახალი ტექნოლოგიების შესახებ, ფერმერების დაბალი მოტივაცია, წარმოების საშუალებებთან, აგრარულ ბაზრებთან და კაპიტალთან მათი წვდომის სირთულე და სხვა.

თუმცა, ყველა შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა შორის, მეტი ცოდნის მიღება და ინფორმაციასთან წვდომის შესაძლებლობა საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია.

დღეისათვის ფერმერები ცოდნასა და ინფორმაციას იღებენ შემდეგი მთავარი წყაროებიდან:

- ✓ წარმოების საშუალებების მიმწოდებლები;
- ✓ დონორთა პროექტები;
- ✓ სახელმწიფო და კერძო სასწავლო-კვლევითი ორგანიზაციები და ექსტენციის სამსახურები;

ამ წყაროებს ასევე ემატება ინტერნეტითა და ტელევიზიით მიღებული ინფორმაცია და რჩევები. აგრარულ სფეროში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, ცალკეულ შემთხვევაში ქმნიან რა კარგი ხარისხის საექსტენციო მასალას, მათი საქმიანობის შედეგები სამწუხაროდ, მოსარგებლეთა მხოლოდ მცირე ჯგუფზე ვრცელდება ხოლმე და პროექტების სიცოცხლისუნარიანობაც მათი დასრულებისთანავე წყდება.

რაც შეეხება წარმოების საშუალებების მიმწოდებლებს, ისინი რჩევებს ყველა იმ პირს აძლევენ, ვინც მათი მომსახურებით სარგებლობს. ამასთან, მათგან ზოგიერთი მსხვილი შემსყიდველი პერსონალური კონსულტაციებითაც სარგებლობს, თუმცა მომხმარებელთა ამ კატეგორიას უმეტესად მაინც ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მწარმოებელი მსხვილი ფერმერები მიეკუთვნებიან. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების მიმწოდებლები პირდაპირ არიან დაინტერესებულნი, რომ რაც შეიძლება დიდი რაოდენობით პროდუქტი გაყიდონ, რაც სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სამსახურებისთვის სამოქმედოდ ტოვებს ისეთ სივრცეებს, როგორცაა:

- ✓ კონსულტაციების გაწევა მცირე ზომის ფერმერებისათვის, რომლებიც მცირე რაოდენობით წარმოების საშუალებებს ყიდულობენ და კერძო სექტორისაგან შედარებით ნაკლებად იღებენ რჩევებს;
- ✓ დამოუკიდებელი ცდების ჩატარება და მიუკერძოებელი კონსულტაციები;
- ✓ უფასო ინფორმაციის მიწოდება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა (ტელევიზია, ინტერნეტი), რასაც ზოგადად კერძო სექტორი არ უზრუნველყოფს;
- ✓ დონორთა პროექტების ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოთა გაგრძელება და შევსება;
- ✓ კვლევების შედეგების ფერმერთათვის მარტივ და პოპულარულ ენაზე გადაცემა.

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 28 თებერვალის №2-63 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპური დებულება. სამინისტროს ცენტრალურ აპარატთან უფრო მეტად მოქნილი და ეფექტური კოორდინაციის მიზნით კი 2014 წელს 9 სამსახურის ბაზაზე (*თელავის, მარნეულის, მცხეთის, გორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ახალციხის, ამბროლაურისა და ოზურგეთის*) შეიქმნა რეგიონული სამმართველოები და „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - რეგიონალური სამმართველოების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 დეკემბრის №2-211 ბრძანებით ასევე დამტკიცდა მათი ტიპური დებულება. დღეისათვის სახელმწიფო ექსტენციის სისტემა მოიცავს 45 მუნიციპალურ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურსა და 9 რეგიონულ სამმართველოს.

ამჟამად ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია უმეტესწილად ფერმერთან პირდაპირ კონტაქტზეა დამყარებული, მათ შორის ინდივიდუალურად და ჯგუფურად, რაც არ მოიცავს ინფორმაციის მასობრივად გავრცელების სისტემებსა და ფერმერულ მეურნეობებში ახალი/მოწინავე აგრარული ტექნოლოგიების გამოცდასა და დემონსტრირებას. მართალია მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების საქმიანობას სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტი წარმართავს, მაგრამ დღეისათვის არ არსებობს

უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო ექსტენციაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია, რომელიც შეიმუშავებს და განახორციელებს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიას, მოამზადებს ექსტენციის პაკეტებს, გადაამზადებს ექსტენციონისტებს და გაავრცელებს კონსულტაციებს ტელევიზიითა და ინტერნეტით, ან ჩაატარებს გაცემული რჩევების ათვისებისა და ზეგავლენის მონიტორინგის სამუშაოებს. სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სფეროში არსებული ასეთი მდგომარეობა შესწავლილი და დეტალურად გაანალიზებული იქნა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტის მიერ მომზადებულ დოკუმენტში „სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემის განვითარება საქართველოში: საკითხები და რეკომენდაციები“, ივლისი, 2014 წელი.

ამიტომ, როგორც შემხვედრი ნაბიჯი, ამ გამოწვევების დაძლევის მცდელობას ემსახურება სამინისტროს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის შემუშავებული და წარმოდგენილი დოკუმენტი. ეს გამოწვევები სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის არსებულ სისტემაში შეიძლება დავაჯგუფოდ შემდეგ ორ ძირითად მიმართულებად:

- ✓ ქვეყნის ასეულ ათასობით მცირე და საშუალო ზომის ფერმერისთვის საჭიროებების განსაზღვრა, შესაბამისი სწავლებების პერმანენტული ჩატარება, მიზნობრივი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის პაკეტების შემუშავება და გავრცელება;
- ✓ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის გამჭვირვალე და დამოუკიდებელი ერთეულის, აგრეთვე ექსტენციის პროცესის დანერგვის, ანგარიშგების, მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასების მექანიზმის შექმნა.

სწორედ ამ გამოწვევების დაძლევისკენაა მიმართული სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის ძირითადი მიზანი და ის ამოცანები, რომლებიც მომდევნო თავშია წარმოდგენილი.

თავი 2. სტრატეგიის ხედვა, მიზანი და ამოცანები

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის უმთავრესი გამოწვევაა საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ფერმერთათვის ახალი ტექნოლოგიების გაცნობისა და ცოდნის გადაცემის გზით. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის პროცესის განხორციელება დამოკიდებულია ისეთი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებაზე, როგორცაა:

✓ **მოქნილი და გამჭვირვალე მენეჯმენტი** - შესაბამისი სამართლებრივი ფორმით, დამოუკიდებელი ცენტრალური/რეგიონული/მუნიციპალური სტრუქტურებით და ექსტენციის ეროვნული/რეგიონული/მუნიციპალური ფერმერთა საბჭოებით;

✓ **გამართული და ეფექტური ინფრასტრუქტურა** - სადემონსტრაციო ნაკვეთებით, სატრანსპორტო საშუალებებით, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გადაცემის ტექნიკური საშუალებებით, პროფესიული ადამიანური რესურსით, ცოდნის გადაცემის თვალსაჩინო მასალებითა და სხვა;

✓ **სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი** - აგრარული ბაზრის კვლევით, წარმოების სრული ჯაჭვის შესახებ ინფორმაციის მოპოვებით, მარტივი და პოპულარული გზით ფერმერთა კონსულტირებით და სხვა.

სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის წარმოდგენილი სტრატეგიის ზოგადი მიზანია არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის გარდაქმნა ფერმერთა რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ ექსტენციის სამსახურად. ეს პროცესი განხორციელდება თანმიმდევრულად, დაწყებული არსებული რესურსების რეორგანიზაციით და დამთავრებული ექსტენციის ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური დონეების ჩამოყალიბებით.

სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სამსახური დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდება, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან იქნება ანგარიშვალდებული, თუმცა მხოლოდ ექსტენციის საქმიანობით იქნება დაკავებული და ამ მიზნისათვის საჭირო დაფინანსებაც ექნება. ახალი სტრუქტურა დამოუკიდებელი იურიდიული პირის ფორმით მოიაზრება, რასაც საკანონმდებლო, ან მარეგულირებელი ცვლილებები დასჭირდება. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის მნიშვნელოვანი დამატებითი მიზნებია სოფლად სიღარიბის შემცირება, გარემოს დაცვა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების ხელშეწყობა, რაც დამოკიდებული იქნება ფერმერთათვის მხარდაჭერაზე მათი მეურნეობების უკეთ წარმართვის მიზნით.

ქვემოთ მოცემულია სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის ძირითადი ამოცანები და მათი მოკლე დახასიათებები:

- ინსტიტუციური განვითარება, რჩევების გაცემა და დამხმარე საქმიანობა

ინსტიტუციური განვითარება

✓ **ამოცანა 1.** სოფლის მეურნეობის ცალკეული სექტორებისათვის ფერმერთა მიზნობრივი ჯგუფების განსაზღვრისა და მათთვის საჭიროებების დადგენის, შესაბამისი სასწავლო პროგრამების განსაზღვრისა და ექსტენციის პაკეტების შესამუშავებლად საპილოტე რეგიონების შერჩევა.

✓ **ამოცანა 2.** საპილოტე რეგიონებში აპრობირებული ექსტენციის ეფექტიანი მიდგომების/მექანიზმების რეპლიკაცია სოფლის მეურნეობის სექტორების უფრო ფართო სპექტრისათვის მთელი ქვეყნის დაფარვის უზრუნველსაყოფად;

✓ **ამოცანა 3.** სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სახელმწიფო სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის ჩამოყალიბება.

ექსტენციის მეთოდოლოგიის შემუშავება და რჩევების გაცემა

✓ **ამოცანა 4.** გზავნილებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ფერმერებისთვის ექსტენციის ისეთი პაკეტების შექმნა, რომლებიც დაეხმარებათ მათ წარმოების მომგებიანობისა და ეფექტიანობის ამაღლებაში

✓ **ამოცანა 5.** ინფორმაციის მასობრივი გავრცელების მექანიზმების შექმნა ფერმერთათვის ზემოთხსენებული გზავნილების მისაწოდებლად.

დამხმარე საქმიანობა

✓ **ამოცანა 6.** მონიტორინგისა და უკუკავშირის სისტემის შექმნა იმის უზრუნველსაყოფად, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ექსტენციის გზავნილები (ნამდვილად აღწევს თუ არა ფერმერებამდე, რამდენად გასაგებია მათი შინაარსი, რამდენად ინერგება პრაქტიკაში და ა.შ.)

✓ **ამოცანა 7.** პერსონალის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ქმედებაზე ორიენტირებული გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი წვრთნების/ტრენინგის მეშვეობით, რომელიც მოიცავს როგორც ექსტენციის უნარებს, ასევე სპეციფიკურ ექსტენციის პაკეტებს, მონიტორინგისა და უკუკავშირის სისტემების გამოყენებას. ამ ამოცანის განხორციელებით, ასევე უნდა მოხდეს თანამშრომელთა (კადრების) ტექნიკური დავალების (TOR) ხელახალი განსაზღვრა, მათი უნარ-ჩვევების მოდერნიზება და სტიმულირება საქმიანობის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, რას ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების პერსონალს შორის ინფორმაციის/ცოდნის გაცვლის მექანიზმების და მათი სწავლის შესაძლებლობების შექმნას

✓ **ამოცანა 8.** საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების პერსონალისათვის თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად საჭიროებების ანალიზზე დაფუძნებული ტექნიკისა და მოწყობილობების, დამატებითი ავტომობილების შეძენის შესაძლებლობა

- შედეგებზე ორიენტირებული ინდიკატორები და ხარჯების შეფასება

შედეგებზე ორიენტირებული ინდიკატორები

✓ შედეგების ხარისხობრივი ინდიკატორები და ვადები ინსტიტუციური განვითარებისათვის და დამხმარე საქმიანობისათვის მოცემულია სამოქმედო გეგმაში;

✓ კონსულტაციების გაცემის თვლადი ინდიკატორი შემუშავებული იქნება ექსტენციის პაკეტების სერიების მეშვეობით, რომელთაგან თითოეულს ექნება გავრცელების, ათვისებისა და ზეგავლენის დეტალური რაოდენობრივი სამიზნეები;

✓ წვრთნების/ტრენინგების პროგრამების თვლადი ინდიკატორები შემუშავდება ექსტენციის თითოეული პაკეტისათვის და მონიტორინგისა და უკუკავშირის სისტემებისათვის, რომელშიც ასევე იქნება ჩართული წვრთნების/ტრენინგების მიმღებთა და წვრთნების/ტრენინგების ზეგავლენის რაოდენობრივი სამიზნე ინდიკატორები.

ხარჯების შეფასება

დაფარავს პერსონალისა და ზედნადებ ხარჯებს, ასევე გამოუყოფს ფართსა და სატრანსპორტო საშუალებებს ექსტენციის ცენტრალური აპარატისა და მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლებს. სამინისტრო ასევე დააფინანსებს ცალკეულ საინფორმაციო კამპანიას დიდი რაოდენობით ლიფლეტებისა და ბროშურების დაბეჭდვისა და გავრცელების ჩათვლით. სამინისტრო ითანამშრომლებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან (დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძო და არასამთავრობო სექტორი, საგანმანათლებლო დაწესებულებები) „ექსტენციის პაკეტების“ შემუშავებისა და შესაბამისი წვრთნების/ტრენინგების ტექნიკური დახმარების საკითხებში, რაც მოიცავს მასალების დიზაინს, სატელევიზიო გადაცემების მომზადებასა და პროგრამული უზრუნველყოფისა და საინფორმაციო სისტემების შექმნას.

• სტრატეგიის განხორციელება და მართვის მექანიზმები

სამინისტრო პასუხისმგებელი იქნება ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე შუალედური სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე, ასევე ექსტენციის ახალი ორგანიზაციის - „სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) შექმნაზე. „ცენტრი“ უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი - სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სამსახურის მართვაზე, მათ შორის ექსტენციის პაკეტების დიზაინსა და განხორციელებაზე, მასობრივი გავრცელების ღონისძიებების გატარებასა და პერსონალის წვრთნებზე/ტრენინგებზე.

ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მართვის პროცესი იყოს გამჭვირვალე, რადგან ეს არის ამ პროცესის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორთაგანი. ასეთი გამჭვირვალობა კი მიიღწევა ექსტენციის პროცესში ფერმერთა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა უწყებების წარმომადგენელთა ჩართულობით. ასეთ ჩართულობას უზრუნველყოფენ „ფერმერთა საბჭოები“, რომლებიც შეიქმნება სხვადასხვა იერარქიულ საფეხურებზე, კერძოდ:

ფერმერთა ეროვნული საბჭო -- ეროვნული დონე;

ფერმერთა რეგიონალური საბჭო - რეგიონალური დონე;

ფერმერთა მუნიციპალური საბჭო - მუნიციპალური დონე.

✓ **ფერმერთა ეროვნული საბჭო** - დაკომპლექტდება ფერმერთა რეგიონული საბჭოების, სამინისტროს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სხვადასხვა კერძო და

არასამთავრობო ორგანიზაციების თითო-თითო წარმომადგენლით (14-15 წევრი). საბჭო შეიკრიბება წელიწადში ერთხელ, მოისმენს და დაამტკიცებს სახელმწიფო ექსტენციის ცენტრის წლიურ ანგარიშს, შეითანხმებს და დაამტკიცებს მომავალი წლის სამოქმედო გეგმას;

✓ **ფერმერთა რეგიონალური საბჭო** - შეიქმნება ყველა რეგიონში და დაკომპლექტდება რეგიონის მუნიციპალიტეტთა თითო-თითო წარმატებული ფერმერით, რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო კვლევითი დაწესებულებისა და საგანმანათლებლო სასწავლებლის, სხვადასხვა კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლით (11-14 წევრი). საბჭო შეიკრიბება წელიწადში რამდენიმეჯერ, სიტუაციიდან გამომდინარე, მოისმენს ანგარიშებს თითოეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისგან, შეადგენს სამოქმედო გეგმებს და მოამზადებს ეროვნულ საბჭოზე განსახილველ პირობრიტეტულ საკითხებს;

✓ **ფერმერთა მუნიციპალური საბჭო** - შეიქმნება ყველა მუნიციპალიტეტში და დაკომპლექტდება მუნიციპალიტეტის წარმატებული ფერმერებისგან, საბჭოს შეუძლია ასევე მოიწვიოს მუნიციპალიტეტში არსებული სასწავლო - სამეცნიერო, პროფესიული განათლების, სხვადასხვა კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც. საბჭო ღია იქნება მუნიციპალიტეტის ყველა ფერმერისათვის, იგი მოისმენს სსს-ების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს, აცნობებს მათ თავიანთ მოსაზრებებს, დაამტკიცებს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას, აირჩევს მუნიციპალიტეტის ფერმერთა საბჭოს წევრებს და რეგიონალურ ფერმერთა საბჭოში თავის წარმომადგენელს.

„ფერმერთა საბჭოები“ - ს წესდება და ფუნქციონირების მექანიზმი დამუშავდება და გამოიცდება სტრატეგიის პირველ ეტაპზე - 2018 წელს, ხოლო დეტალური წესდება დამტკიცდება 2019 წელს ექსტენციის სამსახურის საბოლოო სტრუქტურის ჩამოყალიბებისკენ გადადგმული ნაბიჯების პარალელურად.

- **სტრატეგიის განხორციელების რისკები, ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება**

რისკები

- ✓ სამინისტროს მხრიდან ადამიანური და ფინანსური რესურსების დეფიციტი;
- ✓ სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხრიდან სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის კამპანიების დაფინანსების შეზღუდული შესაძლებლობები;
- ✓ დონორი ორგანიზაციებისათვის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მათი საქმიანობისათვის არაპირობრიტეტულ მიმართულებად მიჩნევა.
- ✓ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ფასიან მომსახურებად გარდაქმნის ალბათობა, რაც მოცემულ ეტაპზე ფერმერთა ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ნაკლებად შესაძლებელია.

ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება

✓ **ანგარიშგება** - რეგულარული ანგარიშგება დაეფუძნება ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშებს მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მიერ „ცენტრისა“ და ფერმერთა ეროვნული საბჭოსათვის. წლიურ ანგარიშში აქცენტი გაკეთდება რჩევების ათვისებასა და ზეგავლენაზე. კერძოდ, თუ რამდენად აუმჯობესებს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას ექსტენციის სამსახური და რამდენად ცვლის მომდევნო წლის გეგმებს. ანგარიშის განხილვა და მის შინაარსზე კამათი წახალისებული უნდა იყოს

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, ან მაგალითად წლიური ექსტენციის კონფერენციის მოწვევით;

✓ **მონიტორინგი და შეფასება** - „ცენტრი“ გამოიყენებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემას საქმიანობის შესაფასებლად, ასევე კონსულტაციების მოცულობისა და დაფარვის არეალის, რეაქციის, ათვისებისა და ზეგავლენის შესაფასებლად. ფერმერებთან კომუნიკაციის ფორმა და დამხმარე მონაცემთა ბაზა იქნება საშუალება ინფორმაციის მოპოვების ჩატარებული ღონისძიებების და იმ ფერმერთა რიცხვის შესახებ, რომელთაც ექსტენციის ახალი სამსახური ამა თუ იმ გზით დაუკავშირდა. პერიოდულად და დამოუკიდებელი სატელეფონო შერჩევითი კვლევით შეფასდება ფერმერთა რეაქცია რჩევებზე და მათი ათვისების შესაძლებლობა. ამავე დროს, ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასება დაეფუძნება იმ სპეციალურ კვლევებს, რომლებიც ექსტენციის ცალკეულ პაკეტებზე იქნება ფოკუსირებული. „ცენტრის“ ერთი წევრი დანიშნული იქნება ექსტენციის პაკეტების განხორციელების ზედამხედველობისათვის და უზრუნველყოფს დასახული მიზნების დათქმულ ვადებში შესრულებას. მაგალითად მცენარის დარგვასა და მოვლასთან, ნიადაგის დამუშავებასთან, მორწყვასთან, სასუქების შეტანასთან, მოსავლის აღებასთან, მარკეტინგთან დაკავშირებული ექსტენციის გზავნილების ფერმერებისთვის დროულად მიწოდებას.

ამასთან, „ცენტრი“ შემოიღებს ხუთი კომპონენტისგან შემდგარ მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო ჩარჩოს, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ✓ **აქტივობები** – რამდენი ბროშურა მომზადდა, რამდენი სატელევიზიო გადაცემა გაიშვა, რამდენი სადემონსტრაციო ნაკვეთი მოეწყო და სხვა;
- ✓ **დაფარვა** – რამდენმა ფერმერმა მიიღო ბროშურები, უყურა სატელევიზიო პროგრამას, მონაბხულა სადემონსტრაციო ნაკვეთი და სხვა;
- ✓ **რეაქცია** – რა აზრისა იყვნენ ფერმერები მიღებულ ინფორმაციასთან და რჩევებთან დაკავშირებით, შეესაბამებოდა თუ არა ისინი მათ მოთხოვნებს;
- ✓ **ათვისება** – რამდენმა ფერმერმა დანერგა პრაქტიკაში გაუმჯობესებული ტექნოლოგიები და მართვის მიდგომები „ცენტრის“ რჩევის საფუძველზე;
- ✓ **ზეგავლენა** – რა ზეგავლენა იქონია რჩევებმა იმ ფერმერების სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობასა და წარმოებული პროდუქციის მოგებაზე, რომლებმაც ამ რჩევებით ისარგებლეს.

ასეთი მიდგომა ექსტენციონისტებს მიაწვდის საჭირო ინფორმაციას კარგი გადაწყვეტილებების მისაღებად იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გახადონ მათ სისტემა უფრო ეფექტური და ფერმერთა მოთხოვნების შესაბამისი.

✓ *სამოქმედო გეგმა წლების მიხედვით*

სტრატეგია განხორციელდება 2018-2019 წლებში სამოქმედო გეგმის მიხედვით ორ ეტაპად.

პირველი ეტაპზე - 2018 წელს განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ✓ შეირჩევა ორი პილოტ რეგიონი: ა რაჭა/ლეჩხუმის და ბ გურიის;
- ✓ შერჩეულ პილოტ რეგიონებში განხორციელდება ექსტენციის მექანიზმების შემუშავება და აპრობირება, კერძოდ:

- ფერმერთა გამოკვლევა და შესაბამისი სამიზნე ჯგუფების დადგენა, მათი ცოდნის შეფასება და საჭიროებების განსაზღვრა;
- ფერმერთა საჭიროებების შესაბამისი ექსტენციის პაკეტების მომზადება და წვრთნების/ტრენინგების ორგანიზება;
- ექსტენციის სრული პროცესის დაგეგმვის, საინფორმაციო კამპანიის (საინფორმაციო ლიტერატურა, სადემონსტრაციო ღონისძიებები, ექსპერტთა და სამეცნიერო ცენტრის ჩართულობა, მობილური და E-ექსტენცია/SMS, ადგილობრივი მედია-ექსტენცია/ტელევიზია, რადიო, სოციალური ქსელი) ორგანიზება და განხორციელების კოორდინაცია;
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ანგარიშგების, შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება;
- „ცენტრის“ სამომავლო მართვის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების შემუშავება;
- პროაქტიული საექსტენციო აქტივობების მიზნობრივი წარმართვისათვის მომხმარებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა.

მეორე ეტაპზე - 2019 წელს განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ✓ პილოტ რეგიონებში აპრობირებული ექსტენციის მექანიზმების ანალიზი და მათი ადაპტაცია/რეპლიკაცია ქვეყნის სხვა რეგიონებში;
- ✓ „ცენტრის“ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის, ფუნქციების, ბიუჯეტის და სამოქმედო გეგმის დაზუსტება;
- ✓ „ცენტრის“ იურიდიულად გაფორმება, კადრებით დაკომპლექტება და ფუნქციონირების დაწყება.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის განხორციელების შედეგად ჩამოყალიბებული „ცენტრი“ გაითვალისწინებს და უზრუნველავს საქართველოში არსებულ ისეთ რეალობას, როგორცაა მცირე ფერმერთა, ჩვეულებრივ შერეული შემოსავლის მქონე ოჯახთა ძალზე დიდი რაოდენობა, რომლებიც სურსათის ნაწილს საკუთარი მოხმარებისთვის, ნაწილს კი გასაყიდად აწარმოებენ. ასეთი ფერმერები საქართველოს მიწის ფონდისა და პირუტყვის უმეტეს ნაწილს ფლობენ, აწარმოებენ სურსათის უმეტეს წილს და საქართველოს სოფლის მეურნეობაში დამატებული ღირებულების უდიდეს ნაწილს ქმნიან. ამასთან, ასეთი ცენტრის სამოქმედო არეალი ასევე იქნება უფრო მსხვილი, ბაზარზე ორიენტირებული ფერმერების ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე მყოფი სექტორი, რომელიც უფრო ადვილად ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს და უკეთ შეუძლია სუპერმარკეტებისა და ექსპორტიორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

თავი 3. სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორის როლი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციაში

სახელმწიფოს უმთავრესი როლი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციაში განისაზღვრება ისეთი მომსახურების მიწოდებით, როგორცაა:

- ✓ ობიექტური ცოდნის დაგროვება საცდელ და სადემონსტრაციო ნაკვეთებზე დამოუკიდებელი გამოცდის, საქმიანობისა და შედეგების მონიტორინგის და ანალიზის გზით;
- ✓ საერთაშორისო კვლევებისა და სახელმწიფოს კვლევების შედეგების ფერმერთა და ექსტენციონისტებისათვის სასარგებლო ფორმით მიწოდება;
- ✓ ინფორმაციისა და რჩევების მასობრივი გავრცელება ნაბეჭდი მასალის, სატელევიზიო გადაცემებისა და ელექტრონული მედიის მეშვეობით;
- ✓ იმ ფერმერთან წვდომით, რომლებსაც კერძო სექტორი ეფექტიანად ვერ უწევს კონსულტაციებს მათი ზომის, ადგილმდებარეობისა და მეურნეობის ტიპის გამო;
- ✓ სახელმწიფოს მიერ სექტორში გატარებული სხვა პოლიტიკის შევსებით, მაგალითად უფრო მსხვილი, კომერციულ წარმოებაზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობის გზით.

ამასთან, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიამ უნდა შექმნას წინაპირობები, მსოფლიო პრაქტიკაში არსებული არამართო სახელმწიფო, არამედ ჰიბრიდული, კერძო და საუნივერსიტეტო მოდელეების განვითარებისთვისაც.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტურ თანამშრომლობას სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სფეროში. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემაში სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ:

- ✓ გამოყენებული იქნას ქვეყნის მასშტაბით არსებული ფერმერთა მომსახურების ცენტრების სადემონსტრაციო ნაკვეთების რესურსი, მათ ხელთ არსებული საექსტენციო პაკეტები და საინფორმაციო მასალა;
- ✓ მნიშვნელოვანია ერთობლივი მუშაობა საკონსულტაციო მომსახურების ეფექტურ მოდელეებზეც, ექსტენციის სერვისების შედეგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის

ჩამოყალიბებაზე, აქტიური თანამშრომლობა უნდა განხორციელდეს ასევე სასწავლო და წვრთნების/ტრენინგ კურსების ჩატარების მიმართულებითაც;

✓ კერძო და არსამთავრობო სექტორი, საერთაშორისო დონორები შესაძლოა მოწვეულ იქნან წვრთნების/ტრენინგ - გეგმების შედგენაში მონაწილეობის მისაღებად და სპეციფიკური მიმართულებების მხარდასაჭერად, აგრეთვე წვრთნების/ტრენინგ-პროგრამების წინადადებების წარმოსადგენად. ამ საქმიანობის ამოცანა სახელმწიფო ექსტენციის სამსახურისა და მის მხარდაჭერაში ჩართული ორგანიზაციების პროგრამებისა და პროექტების გეგმების სინქრონიზაცია იქნება;

✓ სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის პროცესის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია სახელმწიფო და კერძო საკუთრების ფორმებზე დაფუძნებული ექსტენციის მოდელების თანაარსებობის ფუნქციონირება როგორც ცალ-ცალკე, ასევე მათი ჰიბრიდული სახით (სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთად) სხვადასხვა სამართლებრივი ფორმებით (ა(ა)იპ, სსიპ, შპს, სს და სხვა).

ეს ის ზოგადი მიმართულებებია, სადაც სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორების როლი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განხორციელების პროცესში შესაძლოა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი. თუმცა მსგავსი თანამშრომლობა შესაძლებელია ისეთი კონკრეტული მიმართულებებითაც, როგორცაა:

ექსტენსიის სერვისები

✓ ქვეყანაში არსებული ექსტენციის სერვისების ქსელის მონაცემთა ბაზის შექმნა, რუკაზე დატანა სპეციალიზაციისა და ადგილმდებარეობის მიხედვით;

✓ მართალია პირველადი აღწერით ქვეყანაში დღეისათვის უკვე არსებობს 40-ზე მეტი სადემონსტრაციო ნაკვეთი, თუმცა მათი შემდგომი ერთობლივი ინვენტარიზაციის პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს;

✓ საჯარო სექტორმა ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნული სადემონსტრაციო ნაკვეთების გამოყენებას ფერმერების მომზადების, ფერმერთა სავლე დღეების ჩატარების და გაუმჯობესებული პრაქტიკის და ტექნოლოგიების გავრცელების მიზნით. გარდა ამისა, მომდევნო ორი წლის განმავლობაში სოფლის დონეზე შესაძლებელია განხორციელდეს/ჩატარდეს დამატებითი სადემონსტრაციო ნაკვეთების ონლაინ ჩვენება, რომელსაც მცირე მასშტაბით/მოცულობით განახორციელებს ფერმერთა მომსახურების ცენტრი პირდაპირ ფერმერთა მიწებზე, რათა უკეთესად იქნას გაგებული ის გამოწვევები, რის წინაშეც დგანან დღეს მცირე ფერმერები;

✓ არსებული და მოთხოვნადი საექსტენსიო პაკეტების დადგენა, ტექნიკური დავალებისა და საკონკურსო საფუძველზე მათი შემუშავებისა და მიწოდების უზრუნველყოფა;

✓ საჯარო საექსტენსიო პაკეტების ქსელის გეოგრაფიის შემდგომი გაფართოების ხელშეწყობა - ოთხმა კერძო სამეურნეო დანიშნულების მომსახურების ცენტრმა (სამეგრელოში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში) დანერგა ყოვლისმომცველი საკონსულტაციო მომსახურების პაკეტი კონკრეტულ კულტურებთან მიმართებაში, რომლებიც გარკვეული თანხის საფასურად მიეწოდება ფერმერებს და შეიცავს ადგილზე/ნაკვეთზე რეგულარულ ვიზიტებს, ტესტირების მომსახურებას, აგრეთვე სატელეფონო მომსახურებას საჭიროების შემთხვევაში. ამდენად, მათ შეუძლიათ დაეხმარონ სახელმწიფო ექსტენციის სამსახურებს ყველაზე აქტუალური/რელევანტური თემებისა და საერთო პრობლემების ინფორმირების კუთხით, რომელთაც აწყდებიან ფერმერები.

ექსტენციის სერვისების მიწოდება, განათლება და კვლევა

✓ თითოეული მომსახურების მიმწოდებელი აღჭურვილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით და წვრთნის/ტრენინგ ოთახით რათა უმასპინძლოს ჯგუფურ წვრთნებს/ტრენინგებს. ეს კი საშუალებას მისცემს სახელმწიფო ექსტენციის სამსახურს კოორდინირება გაუწიოს და გამოიყენოს საშუალებები ჯგუფური წვრთნების/ტრენინგების, სემინარებისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით;

✓ კერძო მომსახურების მიმწოდებლები ამჟამად ფლობენ ვრცელ საინფორმაციო ბიბლიოთეკას სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ზოგადად და კერძოდ აგრონომიული მიმართულებით. რამდენადაც აღნიშნული ინფორმაცია სავარაუდოდ მორგებულია წარმოების ხარჯებსა და იმ პროდუქტებზე, რომლებსაც ყიდიან მიმწოდებლები, ეს ინფორმაცია ადაპტირებული შეიძლება იქნეს ფართო მასშტაბის ექსტენციის მასალად გამოყენების მიზნით;

✓ კერძო მომსახურების პროვაიდერთან ერთად საჯარო სექტორის ექსტენციის აგენტებმა შესაძლოა კოორდინაცია გაუწიონ ინფორმაციის ფერმერებამდე მისაღწევ და ექსტენციის აქტივობების შესაფასებელ ქმედებებს, რამდენადაც მომსახურების მიმწოდებლები უზრუნველყოფენ კლიენტების მონაცემთა ბაზას და ხელს უწყობენ შემოსავლის გაზრდას თითოეულ ჰექტარზე;

✓ რამდენადაც მომსახურების მიმწოდებლები უმეტესწილად გადაადგილდებიან ფეხით, საჯარო სექტორს შეუძლია გამოიყენოს მიმწოდებლები ბეჭდური მასალების, ექსტენციის დოკუმენტების, ბროშურების, ბუკლეტების და ა.შ. ფერმერებისთვის მიწოდების მიზნით;

✓ სახელმწიფო ექსტენციაზე პასუხისმგებელ “ცენტრს“ შეუძლია გამოიყენოს კერძო სექტორის ექსტენციის აგენტების გამოცდილება, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს კონსულტაციები საჯარო სექტორის ექსტენციის აგენტებისათვის და/ან ფერმერებისათვის, რათა გაფართოვდეს ექსტენციის სისტემის გავრცელების არეალი;

✓ მობილური და ონლაინ აგრო-ინფორმაციის პლატფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს რამოდენიმე აპლიკაცია, რომელთაც შეუძლიათ სარგებელი მოუტანონ ფერმერებს შენატანსა და შედეგს შორის კავშირის წარმოჩენაში. სახელმწიფო ექსტენციამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ამ აპლიკაციების გამოყენებას, ისევე როგორც ზოგადად სასოფლო-სამეურნეო აქტივობაში ჩართულმა საზოგადოებრივმა, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ფირმებმა, მენეჯერებმა და აქტიურად დაუჭირონ მხარი ექსტენციის აგენტების გადამზადებას ამ მიმართულებით, თუ როგორ შეუძლიათ ფერმერებს მოიპოვონ და გამოიყენონ ეს აპლიკაციები

✓ სასოფლო-სამეურნეო ექსტენსიონისტების მომზადება-გადამზადების სისტემის განვითარებასა და ფერმერთა რეესტრის შექმნაში, სასოფლო-სამეურნეო ექსტენსიონისტების ეროვნული კორპუსის ფორმირებაში, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების მიწოდების ღია საჯარო ტენდერებზე დაფუძნებული სისტემის შექმნასა და ოპერირებაში თანამონაწილეობა;

✓ სპეციალიზებული კვლევითი ინსტიტუტების, ლაბორატორიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი ქსელის შექმნა, აგრარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის კოორდინაციით; ბაზარზე ორიენტირებული სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების განახლებადი კურიკულუმების შექმნა და ახალგაზრდა ფერმერთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

ექსტენციის ინფრასტრუქტურა, მონიტორინგი და შეფასება

✓ ზოგიერთმა დონორმა (USAID, FAO, GIZ) უკვე განახორციელა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებები, მათ შორის მაგალითად სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიური სადგურების ქსელების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობები. აღნიშნული

ტექნოლოგიები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა, როგორც დაავადებების გავრცელების შესახებ მოკლე SMS შეტყობინებებზე დაფუძნებული ადრეული გამაფრთხილებელი სისტემა. ამის საფუძველზე სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციას შეუძლია მიიღოს გარე მომსახურების გზით და დაამატოს მეტეოროლოგიური სადგურები იქ, სადაც ეს მომსახურება ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი. სახელმწიფო ექსტენციის სამსახურებს შეუძლიათ მიაწოდონ ეს სერვისი სასოფლო-სამეურნეო თემებს კერძო სექტორთან ერთად მონაცემთა მართვის მომსახურებისთვის, რათა ფერმერები დროულად იყვნენ ინფორმირებულნი დაავადებების გავრცელებასთან დაკავშირებულ რისკებზე;

✓ ექტენციის სერვისების მონიტორინგისა და შეფასების (M&E) მეთოდოლოგიის/სისტემის შექმნა, დანერგვა და ოპერირება მუნიციპალურ დონეზე სპეციალიზებული კადრების მომზადებისა და დამატების გზით. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია შესაბამისი გამოცდილების მქონე კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა;

✓ ადგილობრივ ფერმერებთან და ფერმერთა ორგანიზაციებთან რეგიონული კონსულტაციების ჩატარება, ასევე ფერმერთა საბჭოების ფორმირებაში ფერმერთა სათათბიროს მუნიციპალური სტრუქტურების მონაწილეობა.

თავი 4. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მიდგომა და მიზნობრიობა

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მთავარი მიდგომაა ქვეყანაში დღეს არსებული 230 ექსტენციონისტისა და 700 000-მდე მცირემიწიანი ფერმერის მიზნობრივი აუდიტორიის პირობებში ეფექტურად გამოიყენოს, როგორც ინფორმაციის მასობრივი გავრცელების მეთოდები, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების შესაძლებლობები. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ტექნოლოგიების უპირატესობების დამარწმუნებელ თვალსაჩინო მეთოდებს, კერძოდ სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობას და მათში ფერმერთა პერმანენტულ მობილიზებას ე.წ. „სავლე დღეების“ მოწყობის გზით.

- ექსტენციის ფორმები და პრიორიტეტული სექტორები

ექსტენციის ფორმები

ექსტენციის ფორმა	წილი ექსტენციის ფორმებში	მიზნობრიობა
სადემონსტრაციო ნაკვეთები და სავლე ცდები	20 %	შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ექსტენციისთვის, ასევე სხვა საქმიანობისთვისაც
მასმედია (ტელევიზია, რადიო, გაზეთი, ინტერნეტი, SMS)	20 %	ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული ფერმერისთვის
ნაბეჭდი მასალები (ლიფლეტები, ბროშურები, წიგნები, პოსტერები)	20 %	ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული ფერმერისთვის
ჯგუფური აქტივობები (სემინარები, ტრენინგის კურსები, ფერმერთა ჯგუფებთან და კოოპერატივებთან მუშაობა)	20 %	ფოკუსირებულია პროგრესულ ჯგუფებსა და კოოპერატივებზე
ინდივიდუალური რჩევები (ვიზიტი ფერმებში, კითხვებზე პასუხის გაცემა უშუალოდ კონსულტანტის მიერ ტელეფონით, ან ელ.ფოსტით)	20 %	პასუხები, რომლებიც გაეცა ნებისმიერი დაინტერესებული ფერმერის შეკითხვებს.

ექსტენციის ამ ხუთი ფორმის პილოტირება მოხდება 2018 წელს, რათა განვითარდეს ეფექტური სისტემები, პროცედურები და დადგინდეს, თუ რა „მუშაობს“ კარგად და რა ვერა. სტრატეგიის

განხორციელების პირველ ეტაპზე სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდება ექსტენციის ფორმებს შორის რესურსების ბალანსის გადასინჯვა.

პრიორიტეტული სექტორები

სტრატეგიის პირველ ეტაპზე პილოტ რეგიონებში მომუშავე ექსტენციის ბირთვი ფოკუსირებული იქნება იმ სექტორებისა და თემების განვითარებაზე, რომლებსაც მაღალი პრიორიტეტი აქვს მინიჭებული მთლიანი შედეგის ღირებულებაში და/ან თანხვედრაშია ქვეყნის სხვა პრიორიტეტებთან და ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან. ასეთი ფოკუსირებების დროს ექსტენციის ბირთვმა უნდა გააანალიზოს არსებული პოლიტიკა ამა თუ იმ სექტორში/თემში, მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები. კერძოდ, თუ ქვეყანამ უფრო დიდი, ბაზარზე ორიენტირებული მეურნეობების განვითარების წახალისება დაისახა მიზნად, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ექსტენცია მხოლოდ ამ მეურნეობებზე უნდა იყოს ორიენტირებული? თუმცა აქ აუცილებლადაა გასამიჯნი ექსტენციის სტრატეგიის გრძელ (მაგალითად 15 წლამდე) და მოკლე (5 წლამდე) ვადიანი პერიოდები. შესაძლოა გრძელვადიანი პერიოდისთვის მართლაც იყოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ვექტორი ბაზარზე ორიენტირებული დიდი მეურნეობების მიმართულებით, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ დიდ მეურნეობებზე ფოკუსირებას თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია.

მსხვილ მეურნეობებზე ფოკუსირების უპირატესობებია:

- ✓ უმეტესად კომერციაზე ორიენტაცია და ახალი ტექნოლოგიებისა და რჩევა-კონსულტაციების უკეთ შეთვისება;
- ✓ გაწეული კონსულტაციები უფრო დიდ ფართობებსა და პირუტყვის მეტ რაოდენობაზე ახდენს გავლენას, ვიდრე მცირე ფერმერის შემთხვევაში;
- ✓ დიდი მეურნეობების შეზღუდული რაოდენობის გამო ინდივიდუალური კონსულტირების მეტი შესაძლებლობაა.

მსხვილ მეურნეობებზე ფოკუსირების ნაკლოვანებებია:

- ✓ ისინი უკვე იღებენ კონსულტაციებს კერძო სექტორისგან, რომელიც თავის მხრივ ჩართულია საქართველოს ექსტენციის სამსახურზე გაცელებით დიდი შესაძლებლობების მქონე საერთაშორისო ქსელებში;
- ✓ გამოუყენებელია ქვეყნის აგრარული მოსახლეობის საწარმოო და შრომითი რესურსის უმეტესობა;
- ✓ კერძო სექტორი მეურნეობათა უმეტესობას (დიდსა და მცირესაც) ვერ აწვდის ექსტენციის სრულ პაკეტს.

ამასთან, დღეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები არიან და სავარაუდოდ უახლოესი 5 წლის მანძილზეც იქნებიან ძალიან მცირე (0-1.25 ჰა-მდე), მცირე და საშუალო ზომის (1.25 ჰა-დან 5 ჰა-მდე) ფერმერები, მათ უმრავლესობას სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციისგან დიდი სარგებლის მიღება შეუძლიათ. თუმცა, ისინი ჯერ ვერ აფასებენ ამ რჩევის ღირებულებას და არ სურთ მასში ფულის გადახდა, რამაც მაგალითად ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში კერძო საკონსულტაციო სამსახურების დასაფუძნებლად დონორების მიერ მხარდაჭერილი მრავალი ინიციატივის ჩავარდნა გამოიწვია.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის ძირითადი ორიენტაცია ძალიან მცირე (0-1.25 ჰა-მდე), მცირე და საშუალო ზომის (1.25 ჰა-დან 5 ჰა-მდე) ფერმერებზე მოკლევადიან (5 წლამდე) პერიოდში მაინც, ძალიან დიდი გამოწვევა და მოვალეობაა. ასეთი ვექტორი გამართლებულია შემდეგი ორი მიზეზით:

1. „საზოგადო სიკეთით“ (მაგალითად ტელევიზია და რადიო) გავრცელებული ინფორმაციის, ან/და „კლუბური სიკეთით“ (მაგალითად სადემონსტრაციო ნაკვეთები) მომსახურების მიწოდების მსურველ ფერმერთა უმეტესი რაოდენობით;

2. კერძო ექსტენციის, როგორც „კერძო სიკეთის“ (მაგალითად ბიზნეს-გეგმების მომზადება) მომხმარებელი ფერმერების მცირე რაოდენობის არსებობით მანამ, სანამ არ გაიზრდება მათი ღირებულების დამფასებელი ფერმერების რაოდენობა და არ ჩამოყალიბდება კონკურენტუნარიანი კერძო საკონსულტაციო სექტორი. შესაბამისად, ამ ეტაპზე სახელმწიფოს შეუძლია აბალანსოს ინდივიდუალური რჩევები, როგორც „კერძო სიკეთის“ მიწოდება „საზოგადო სიკეთის“/„კლუბური სიკეთის“ დემონსტრირებასა და მასობრივი რჩევების უზრუნველყოფასთან (*დანართი N1*)

- ექსტენციის სამიზნე ბენეფიციარები, გზავნილები და პაკეტები

სამიზნე ბენეფიციარები

სოფლის მეურნეობის დარგების უმრავლესობაში ფერმები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად და თითოეულ მათგანს განსხვავებული მიდგომა სჭირდება, შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის პაკეტებიც შესაბამისად დიფერენცირებული იქნება. ეს ჯგუფებია:

✓ *ძალიან მცირე ზომის ფერმერები (ფლობენ 0-1.25 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულს)*, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის (თუმცა შეიძლება ზოგმა პროდუქტები გასაყიდადაც აწარმოოს). ასეთ ფერმერებს ჩვეულებრივ დაბალი მოტივაცია აქვთ ახალი მეთოდების ათვისებისა და არ წარმოადგენენ პროაქტიული ექსტენციის უმთავრეს სამიზნე ჯგუფს, თუმცა ხალისით იღებენ ლიფლეტებს, ათვალთვლებს ინტერნეტ გვერდებს, მიდიან სადემონსტრაციო ნაკვეთებში და იღებენ ყველა გზავნილს, რომლებიც მასმედიის საშუალებით ვრცელდება;

✓ *მცირე და საშუალო ზომის ფერმერები (ფლობენ 1.25 ჰა-დან 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულს)*, რომლებიც პროდუქტს აწარმოებენ ფორმალურ, თუ არაფორმალურ ბაზრებზე გასაყიდად. ისინი ქმნიან ბაზარზე გატანილი პროდუქციის დიდ ნაწილს და ექსტენციის უშუალო სამიზნეს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერთა ეს ჯგუფი მცირე ზომისაა, მათი რიცხვი ძალზე დიდია და მათთან ურთიერთობა ინდივიდუალური ექსტენციის მეშვეობით ეკონომიკურად ეფექტიანი არ იქნება. ფერმერთა სწორედ ასეთი ჯგუფები ქმნიან ძირითად სამიზნეს მასობრივი ექსტენციის ყველა ფორმისთვის;

✓ *მსხვილი ფერმერები (ფლობენ 5 ჰა-ზე მეტ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს) და კოოპერატივები*, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას ოფიციალური გაყიდვისთვის. ისინი უფრო დაექვემდებარებიან კონსულტაციებს და პირველნი იქნებიან ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში, შექმნიან მაგალითს, რომელსაც სხვებიც მიბამავენ. მათი ზომა საკმარისად დიდი, ხოლო რიცხოვნობა საკმარისად მცირე, ეკონომიკურად ეფექტიანი გზით ინდივიდუალური და ჯგუფური ექსტენციის მომსახურების მისაღებად. თუმცა, დროთა განმავლობაში მათი საჭიროებები სავარაუდოდ, მთლიანად დაკმაყოფილდება კერძო სექტორის კონსულტანტებისა და რესურსების მიმწოდებელთა და არამარტო სახელმწიფო ექსტენციის სამსახურის მიერ.

ამგვარად, მასობრივი სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია და შესაბამისი ცოდნის გავრცელება ფოკუსირებული იქნება ყველა კატეგორიისა და ზომის ფერმერულ მეურნეობებზე

გზავნილები და პაკეტები

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის პროცესში ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსტენციონისტთა და ფერმერთა ურთიერთობას. როდესაც ექსტენციის მუშაკები ფერმერებს ხვდებიან და შეკითხვებს იღებენ, მათ უნდა შეძლონ პასუხი გასცენ ფერმერული საქმიანობის ყველა ასპექტთან დაკავშირებულ კითხვას - ან დაუყოვნებლივ, ან კოლეგებისადმი, ან სხვა ექსპერტებისადმი მიმართვის გზით. თუმცა, წვრთნის/ტრენინგის დაგეგმვის, მასალების შემუშავების და პროაქტიული ექსტენციების კამპანიების დროს, ექსტენციის სამსახურმა უნდა ჩამოაყალიბოს პრიორიტეტები და ფოკუსირებული იყოს შეზღუდულ რესურსებზე, თუ სად იქნება ისინი გამოყენებული ყველაზე ეფექტურად.

ასეთი პრიორიტეტული სექტორების განსაზღვრა მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში. გარდა ამისა, თითოეულ პრიორიტეტულ სექტორში არის ექსტენციის საკვანძო გზავნილების განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც საგულისხმო და პრაქტიკულად დაუყოვნებელ ზემოქმედებას ახდენს ფერმერულ მეურნეობათა პროდუქტიულობაზე და მომგებიანობაზე. პროაქტიული ექსტენციის ყურადღების ცენტრში სწორედ ეს გზავნილები - სადემონსტრაციო ნაკვეთები, სატელევიზიო პროგრამები, ნაბეჭდი მასალა და სხვა საშუალებები იქნება, რომლებიც თითოეული სექტორის დეტალურ ანალიზს მოიცავენ (**დანართი N2**). ექსტენციის პროაქტიული მუშაობა ეფუძნება კონკრეტულ „ექსტენციის პაკეტებს“ და თითოეული მათგანი გათვალისწინებულია მემცენარეობის, ან მეცხოველეობის კონკრეტული საწარმოსთვის, ან ფერმერული მეურნეობის კონკრეტული სფეროსთვის. თითოეული ასეთი პაკეტი მოიცავს:

- ✓ **დაგეგმვის დეტალურ ანალიზს**, რომელიც აღწერილი და შეჯამებულია **დანართ N2-ში** „გზავნილი - მასალები - საშუალება“;
- ✓ გამოსაყენებელ **მასალათა და მეთოდთა** ერთობლიობას;
- ✓ **გავრცელების გეგმას**, სადაც მითითებულია კონკრეტულად როგორ და როდის იქნება გამოყენებული მასალები და მედია ფერმერებისთვის გზავნილების გადასაცემად;
- ✓ კონკრეტული ფერმერისთვის/ებისთვის რაოდენობრივი **მიზნების მიღწევისა და ექსტენციის კამპანიის საბოლოო ზემოქმედების რეალიზების გზებს**.

ექსტენციის პაკეტების შემუშავებისა და განხორციელების მთავარი პრინციპი ისაა, რომ სხვადასახვა დარგების ტექნიკური და ეკონომიკური საფუძვლები მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია მთელი ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, ყველაზე ქმედითი სახით მასალები უნდა შემუშავდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, საუკეთესო ადგილობრივი სპეციალისტებისა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და უნდა მოხდეს მათი დიდი ტირაჟით გამოცემა. ხოლო, რაც შეეხება მასალების გავრცელებასა და გამოყენებას, საცდელი და სადემონსტრაციო ნაკვეთების გამოყენებას, ისინი მისადაგებული უნდა იყვნენ ადგილობრივ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებთან და ფოკუსირებულნი იმ სპეციალიზებულ დარგებზე, რომლებსაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული რეგიონისთვის. ექსტენციის ამ პაკეტების შემუშავება და განხორციელება ქმნის ექსტენციის სამსახურის საქმიანობის ბირთვს (**დანართი N3**), რომელიც უზრუნველყოფს ექსტენციის სამსახურის მიერ ფერმერთათვის ცოდნის პროაქტიულ გენერირებასა და მიწოდებას ქვემოთ ნაჩვენები სქემის მიხედვით

საქართველოს ექსტენციის სამსახურის მიერ ფერმერთათვის ცოდნის პროაქტიული გენერირება და მიწოდება



თავი 5. ექსტენციის სამსახურის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მართვის პროცესის ძირითადი მიზანია იმ სასურველი შედეგის მიღწევა, რომელიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისკენ მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებით. ექსტენციის სამსახურის თითოეული თანამშრომლის ამოცანაა ისეთი პირობების შექმნა, რომ სხვადასხვა ქვედანაყოფებში ერთობლივად მომუშავე ადამიანებმა შეძლონ ეფექტიანი ფუნქციონირება, რათა მიაღწიონ დასახულ მიზანს.

ექსტენციის სამსახურის მართვის სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის სწორი ფორმირება ექსტენციის სამსახურს ეფექტიანი ფუნქციონირების საშუალებას აძლევს. ასეთი სტრუქტურის ფორმირება ხდება სხვადასხვა ნიშნით, კერძოდ:

- ა) ფუნქციონალური;
- ბ) ტერიტორიული;
- გ) პროგრამებიდან გამომდინარე;
- დ) გაწეული სამსახურიდან გამომდინარე;
- ე) კლიენტისაგან გამომდინარე;
- ვ) მატრიცული;
- ზ) შერეული.

ფუნქციონალური ნიშნით ქვედანაყოფების ფორმირებისას მოქმედების სახეები ჯგუფდება შესრულებული სამუშაოდან/ფუნქციებიდან გამომდინარე. მსგავსი მიდგომა ხშირად გამოიყენება ადგილობრივ დონეზე - სამუშაოების/ფუნქციების დაჯგუფების დროს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე დამოკიდებულებით.

ტერიტორიული ნიშნით ქვედანაყოფების ფორმირებისას ადგილობრივი კონსულტანტები ქმნიან სარაიონთაშორისო/რეგიონალურ ჯგუფებს. ექსტენციის სამსახურის საქმიანობის ყველა მიმართულებას რეგიონალურ დონეზე ერთი ხელმძღვანელი მართავს. მსგავსი მიდგომა გამართლებულია ძირითადად ეკონომიკური მოსაზრებებით (ტრანსპორტის და სხვა სახის ხარჯების შემცირება, თანამშრომლების და ხელმძღვანელობის დროის უფრო რაციონალური გამოყენება და სხვა).

პროგრამებიდან გამომდინარე ქვედანაყოფების ფორმირებისას შეიძლება შეიქმნას პატარა ჯგუფები, რომლებიც თანამშრომლობენ შესაბამისი მიმართულების/სპეციალიზაციის კადრებთან, საგანმანათლებლო განყოფილებებთან, ან სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან ერთიანი პროგრამის ჩარჩოებში. ამ მიდგომის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ იგი ხელს უწყობს ინფორმაციის მუდმივ გაცვლას სამეცნიერო ქვედანაყოფებსა და ექსტენციის სამსახურებს შორის.

გაწეული სამსახურიდან გამომდინარე მიდგომის დროს იქმნება სტრუქტურული სივრცეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი ქვედანაყოფებისა და მთლიანად ორგანიზაციის ეფექტიან მუშაობას. რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს საექსპლუატაციო დანახარჯები და გაკონტროლდეს ორგანიზაციის პოლიტიკა. ეს შეიძლება იყვნენ ქვედანაყოფები, რომლებიც ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორცაა ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსების მართვა, კადრების მართვა, ინფორმაციული მომსახურება და სხვა.

კლიენტისაგან გამომდინარე ქვედანაყოფების ფორმირებისას, საქმიანობის სახეობების დაჯგუფება ხდება სხვადასხვა კატეგორიის კლიენტურაზე დამოკიდებულებით, რომელთანაც თანამშრომლობს ექსტენციის სამსახური. ეს გამოწვეულია ფერმერთა/კლიენტთა მრავალფეროვანი მოთხოვნილებებით.

მატრიცული მიდგომის დროს ქვედანაყოფების ფორმირებას გადაეჯაჭვება ადმინისტრაციული მმართველობა და ცალკეული პროგრამების მართვა, რაც აყალიბებს მატრიცას. შედეგი არის ის, რომ ბევრი თანამშრომელი ერთდროულად შედის ორ, ან მეტ ჯგუფში და შესაბამისად ექვემდებარება რამდენიმე ხელმძღვანელს ერთდროულად (ერთ მუდმივ ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს და ერთ, ან მეტ პროგრამის ხელმძღვანელს).

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების ყველა ზემოჩამოთვლილ მიდგომას აქვს უპირატესობები და ნაკლოვანებები. ამის გათვალისწინებით პრაქტიკაში დღეს უფრო ხშირად გამოიყენება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების *შერეული მიდგომა* და სხვადასხვა კომბინაციები. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შერეულ მიდგომას ზოგჯერ მივყავართ ექსტენციის სამსახურის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ზედმეტ გართულებამდე.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ექსტენციის სამსახურის მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას მნიშვნელოვან წილად განაპირობებს თავად სამსახურის მიერ შესასრულებელი ამოცანები და ფუნქციები. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის შემთხვევაში იგი მოიცავს აგრარული მიმართულების ცოდნის გენერირებას, მასალების შექმნას, ფერმერებისთვის ინფორმაციისა და რჩევების მიწოდებას და სხვა აქტივობებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის საკვანძო ელემენტებს წარმოადგენს ქვეყნის ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებს შორის პასუხისმგებლობათა სწორი განაწილება. ასეთი პასუხისმგებლობების განსაზღვრა და დაზუსტება ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნის პროცესში განხორციელდება ორი წლის მანძილზე. **პირველ წელს** - პილოტ რეგიონების მაგალითზე დაიწყება ექსტენციის სამსახურის ამოცანებსა და ფუნქციებზე მუშაობა, ხოლო **მეორე წელს** - მოხდება შემუშავებული ამოცანებისა და ფუნქციების აპრობირება სხვა რეგიონებზეც, მათი თავისებურებების გათვალისწინებით საბოლოოდ დაზუსტდება ექსტენციის სამსახურის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და სამსახური გაფორმდება დამოუკიდებელ იურიდიულად ერთეულად.

ზემოთ შემოთავაზებული სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის პროცესის მართვის სამსაფეხურიანი სისტემა (ცენტრალური - რეგიონალური - მუნიციპალური) საქართველოს ექსტენციის სამსახურს საშუალებას მისცემს მართვის იერარქიის სამივე საფეხურზე რაციონალურად გაანაწილოს არსებული რესურსები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ექსტენციის პროცესის კოორდინაცია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ფუნქციები ექსტენციის სამსახურის იერარქიულ საფეხურებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდება:

- სახელმწიფო ექსტენციის ცენტრი


- ✓ ექსტენციის სახელმწიფო მომსახურების სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა, ექსტენციის მთლიანი საჭიროებებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების ჩათვლით და შემდგომში სამოქმედო, ტრენინგების გეგმებისა და ბიუჯეტის მომზადებით ამ პრიორიტეტების მისაღწევად;
- ✓ ექსტენციის პაკეტების (ლიფლეტები, ბროშურები, საინფორმაციო ფურცლები და სხვა სახის ფიზიკური მასალები) შემუშავების ხელმძღვანელობა, მასალების ანალიზისა და მომზადების ჩათვლით;
- ✓ ექსტენციის საქმიანობის განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით მასმედიაზე დაყრდნობით, გაზეთების, ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტის, სოციალური მედიის და მოკლე შეტყობინებების ჩათვლით;
- ✓ ლიფლეტების, ბროშურებისა და საინფორმაციო ფურცლების ბეჭდვის ორგანიზება და სხვა ფიზიკური მასალების წარმოება და შესყიდვა;
- ✓ მრჩეველთა/ექსტენციონისტთა ტრენინგის საერთო სახელმწიფო გეგმის მომზადება და მისი განხორციელების მეთვალყურეობა;
- ✓ სპეციალისტთა დახმარების უზრუნველყოფა რეგიონული და მუნიციპალური დონის მრჩეველებისთვის/ექსტენციონისტებისთვის;
- ✓ სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის შედეგების ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის კოორდინაცია.


- ექსტენციის რეგიონული სამსახური

- ✓ რეგიონული ისეთი სამოქმედო გეგმებისა და წვრთნების/ტრენინგების გეგმების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის გეგმებთან და ადაპტირებული იქნება ფერმერული აქტივობების რეგიონულ პრიორიტეტებთან;
- ✓ რეგიონში შემავალი მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ექსტენციითა მართვა, მონიტორინგი და შეფასება;
- ✓ რეგიონული მასმედიის საშუალებებთან ერთობლივი მუშაობა ინფორმაციის გავრცელების მიზნით;
- ✓ სპეციალისტთა რჩევების უზრუნველყოფა ფერმერებისათვის და ფერმერთა ჯგუფებისთვის, ცალკეულ ფერმერთა და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებიდან შემოსულ მიმართებებზე პასუხის გაცემა, ასევე საუბრები მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებზე;
- ✓ საველე ცდებისა და ფერმების დემონსტრირებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა მთელ რეგიონში.

ექსტენციის რეგიონული/მუნიციპალური სამსახურები ექსტენციის სპეციალისტთა მხარდაჭერის მთავარი რგოლი იქნება. თითოეული მათგანი რეგიონში ფერმერული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სპეციალობის მქონე პერსონალით დაკომპლექტდება. ისინი შექმნიან გუნდს, რომელიც მოემსახურება ექსტენციას და არ იქნება დაკავებული სხვა საქმიანობით.

ექსტენციის „ცენტრის“ მართვის შესაძლო ორგანიზაციული სტრუქტურა (სურათი 2)





• **ექსტენციის მუნიციპალური სამსახურები**

✓ ფერმერებთან შეხვედრა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ოფისებში, ფერმებში და ადგილობრივ ღონისძიებებზე; ფერმერთა კითხვებზე პასუხის გაცემა და საჭიროების შემთხვევაში ექსტენციის რეგიონულ ცენტრში შესაბამის სპეციალისტისთვის მიმართვა;

✓ ცალკეული ფერმერების მიერ საქმიანობის რომელიმე სპეციფიკურ საკითხზე ერთობლივად მუშაობის სურვილის საპასუხოდ „ფერმერთა თემატური ჯგუფების“ ჩამოყალიბება და რეგიონულ/ცენტრალურ დონეზე სპეციალისტების ჩართვა ამ ჯგუფებისთვის რჩევების მისაწოდებლად;

✓ ადგილზე შეხვედრებისა და წვრთნების/ტრენინგის ღონისძიებათა ორგანიზება რეგიონული, ან სახელმწიფო ექსტენციის ცენტრიდან, სხვა ქვეყნის ინსტიტუტებიდან ან დონორი პროექტებიდან მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით;

- ✓ ნაბეჭდი მასალის დარიგება წარმოების საშუალებებისა და მომსახურების მიმწოდებლებთან, პროდუქციის შემსყიდველებთან და სხვებთან, სადაც ფერმერები ხშირად იმყოფებიან მასალის მაქსიმალური გავრცელების უზრუნველსაყოფად;
- ✓ საველე ცდებისა და საცდელ-სადემონსტრაციო ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ✓ რეგულარული უკუკავშირი ექსტენციის რეგიონულ და სახელმწიფო ცენტრებთან ექსტენციების საჭიროებებისა და მიღებული კარგი პრაქტიკის შესახებ;
- ✓ ადგილობრივ პრესაში ყოველთვიურად ერთგვერდიანი ჩანართის გაკეთება, რომელშიც აქცენტი გაკეთდება ადგილობრივი ინტერესის სფეროში შემავალ საკითხებზე, ადგილობრივ ფერმერთა წარმატებულ ისტორიებზე და მუნიციპალიტეტის ფარგლებში ექსტენციების სამომავლო ღონისძიებებზე;
- ✓ ადგილობრივ გაზეთებთან და მასმედიის სხვა საშუალებებთან მუშაობა საჯაროობის და ინფორმაციის გავრცელების დონის ასამაღლებლად.

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნულ სურათებზე (სურათები 2 და 3) მოცემულია ის სავარაუდო სამსახურები, რომლებიც წარმოადგენენ ექსტენციის „ცენტრის“ ძირითად ბირთვს და ამ „ცენტრის“ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების საფუძველს. საბოლოო სტრუქტურა სპეციალიზებული ექსტენციის სამსახურის ჩამოყალიბება იქნება, თავისი პერსონალით ცენტრსა და რეგიონებში. ექსტენციის სამსახურების თანამშრომლები მართვის იერარქიის არც ერთ საფეხურზე ექსტენციის პარალელურად სხვა მოვალეობებს არ შეასრულებენ, რაც შექმნის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სამსახურის „ბრენდს“ და ფერმერები იქნებიან მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. ეს უნდა იყოს ისეთი სამსახური, რომელსაც ფერმერები აღიქვამენ მათ დასახმარებლად შექმნილ სამსახურად.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი სამსახურები (მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ერთეულები), რომლებიც იფუნქციონირებენ „ცენტრის“ სახით შექმნილ სახელმწიფო ექსტენციის სამსახურში:

- მართვა;
- ტექნიკური ერთეულები:
 - ✓ მთავარი ტექნიკური ერთეულები;
 - ✓ ტექნიკური მხარდაჭერის ფუნქციები.
- სპეციალიზებული ერთეულები:
 - ✓ ფერმის მენეჯმენტისა და ეკონომიკის ერთეული;
 - ✓ მარკეტინგის და საბაზრო ინფორმაციის ერთეული;
 - ✓ საველე ცდების და სადემონსტრაციო ფერმების ერთეული;
 - ✓ მცენარეთა მავნებლების მონიტორინგისა და პროგნოზირების ერთეული;
 - ✓ სტატისტიკისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროგნოზირების ერთეული.
- დამხმარე ერთეულები:
 - ✓ მედია ექსტენციის ერთეული;
 - ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიის (IT) ერთეული;
 - ✓ ტრენინგების ერთეული;
 - ✓ ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების ერთეული.

მოკლედ განვიხილოთ, ამ ერთეულების მიერ განსახორციელებელი ამოცანები

- **მართვა**

ექსტენციის მომავალ სამსახურს თავისი დირექტორი და მოადგილე ეყოლება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მთლიან სტრატეგიაზე და სამსახურის საქმიანობაზე. დირექტორი და დირექტორის მოადგილე/საველე კოორდინატორი უზრუნველყოფენ ექსტენციის რეგიონული და მუნიციპალური სამსახურების მხარდაჭერას და შეთანხმებული სამუშაო გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს, ასევე მოიაზრება სხვა დამხმარე თანამდებობები (მდივანი, მძღოლი და სხვა)

ტექნიკური ერთეულები

✓ **მთავარი ტექნიკური ერთეულები.** თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი ამ ერთეულში დასაქმდება. თავდაპირველად იქნება სამი ძირითადი ტექნიკური განყოფილება: ერთწლიანი კულტურების, მრავალწლიანი კულტურებს და მეცხოველეობის. სისტემის გაფართოებისა და განვითარების შემდეგ ისინი შეიძლება დაიყოს ქვედანაყოფებად, მაგალითად, მეცხოველეობის მიმართულებათა მიხედვით. ამ განყოფილებათა უპირველესი მოვალეობა იქნება ექსტენციის პაკეტების შემუშავება და მიზნობრივი ბენეფიციარების განსაზღვრა. ამავდროულად, მათი მოვალეობა იქნება კონსულტაციების არსებული წყაროების შეგროვება და შეფასება მათი სპეციალობის ფარგლებში, მ.შ. საქართველოში, თუ საზღვარგარეთ გამოცემული წიგნების, სამეცნიერო ნაშრომების და პროგრამული უზრუნველყოფის, არასამთავრობო ორგანიზაციების, დონორებისა და საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოების, ლიფლეტების, სხვადასხვა პრეზენტაციებისა და ინტერნეტში არსებული საკონსულტაციო წყაროების ჩათვლით; ყველა შესაძლო შეკითხვისა და მასზე გაცემული პასუხების მოძიება, რომელიც ქართველ ფერმერს გაუჩნდება, ან სადღაც უკვე დაისვა და პასუხიც გაეცა. ამგვარად, ექსტენციის სამსახურს შეუძლია სწრაფად მიაღწიოს წარმატებას ასეთნაირად მოპოვებულ ცოდნაზე დაყრდნობით. სამსახურის სპეციალისტები კავშირებს დაამყარებენ უნივერსიტეტებთან და კვლევით ორგანიზაციებთან, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც და დახმარებას გაუწევენ მენეჯმენტს მუდმივი სქემის შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის სპეციალისტთა მომსახურების მიღებას, როგორცაა მაგალითად ნიადაგის, ან საკვების ანალიზი და სხვა. სახელმწიფო ექსტენციის ცენტრის ტექნიკურ სპეციალისტებს მჭიდრო თანამშრომლობა ექნებათ თავიანთ კოლეგებთან ექსტენციის რეგიონული ცენტრებიდან. მოხდება იდეების გაცვლა და უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის ორმხრივი ნაკადი. ისინი შექმნიან რესურსების ბაზას საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ყველა ექსტენციონისტისთვის;

✓ **ტექნიკური მხარდაჭერის ფუნქციები.** ამ ერთეულში დასაქმდება ერთი ან ორი ადამიანი. ზოგიერთი ექსპერტი სპეციალიზებულია არა რომელიმე კონკრეტულ კულტურაზე, ან მეცხოველეობის დარგზე, არამედ ისეთ თემატურ სფეროებზე როგორცაა, მარცვლეულის შენახვა, მექანიზაცია, ირიგაცია და დრენაჟი, ცხოველთა ჯანმრთელობა და სხვა. ასეთი სპეციალისტები ხშირად არ არიან წარმოდგენილნი ადგილობრივ ჯგუფებში და სახელმწიფო ექსტენციის ცენტრმა ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს, თემატურ სფეროებში ექსტენციის პაკეტების შემუშავების ჩათვლით.

- **სპეციალიზებული ერთეულები**

✓ **ფერმის მენეჯმენტისა და ეკონომიკის ერთეული.** ეს განყოფილება ოთხ ძირითად ფუნქციას შეასრულებს: მრჩეველთა მხარდაჭერა და ტრენინგი ყველა კონსულტაციაში ეკონომიკური კომპონენტის დამატებით; ფერმის ბიზნეს-კონსულტანტის სპეციალისტთა მხარდაჭერა და ტრენინგი ექსტენციის რეგიონული ცენტრების ფარგლებში, რომლებიც შეძლებენ დახმარება გაუწიონ ფერმერებს ბიზნეს-გეგმების შემუშავებაში და ასწავლონ მათ ფერმის დაგეგმვისა და ჩანაწერების წარმოების საფუძვლები; რეგულარული მთლიანი მოგების კვლევის წარმართვა და მისი შედეგების მიწოდება ფერმერებისა და მრჩეველებისთვის; ეკონომიკური მდგომარეობის რაოდენობრივი ასახვა, რათა მრჩეველებმა შეძლონ ფერმერებს უთხრან, მაგალითად - *‘თუ შენ დამატებით დახარჯავ X ლარს სასუქისთვის, დამატებით Y ტონა პროდუქტს მიიღებ’*. ასეთი მიდგომა იმისათვისა საჭირო, რომ ფერმერები შეთავაზებული ცვლილების სარგებლიანობაში დარწმუნდნენ და დაინახონ, რომ ექსტენციის სამსახური, რომლის საარსებო წყაროც სახელმწიფოს მიერ აკრეფილი გადასახადია, ნამდვილად სასარგებლო ორგანიზაციაა.

✓ **მარკეტინგის და საბაზრო ინფორმაციის ერთეული.** ამ ერთეულს ორი ძირითადი ფუნქცია ექნება: მრჩეველთა მხარდაჭერა და ტრენინგი აგრარული მარკეტინგის საკითხებში. ეს მხარდაჭერა ძირითადად ფოკუსირებული იქნება ფერმერული ბიზნესის კონსულტანტებზე. მაგრამ, ამავედროულად, დახმარებას გაუწევენ ყველა სექტორის კონსულტანტებს მარკეტინგის სფეროში მათი უნარების და ცოდნის გაუმჯობესებაში; საბაზრო ინფორმაციის სისტემის მართვა, რომელიც უკვე შემუშავებულია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეგროვებული და გავრცელებული მონაცემებით, ექსტენციის რეგიონული/მუნიციპალური სამსახურებისა და მედია-ექსტენციის ერთეულის საშუალებით.

✓ **საველე ცდების და სადემონსტრაციო ფერმების ერთეული.** თავიდან სულ მცირე ერთი სპეციალისტი მაინც იქნება საჭირო, რომელიც დახმარებას გაუწევს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს ეფექტური საველე ცდებისა და ფერმების დემონსტრირების შექმნაში, მართვასა და განხორციელებაში. ეს ნაკვეთები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იქნება გაბნეული, რათა მოიცვას სხვადასხვა კლიმატური პირობები და ხელმისაწვდომი გახადოს ისინი ფერმერთა მაქსიმალური რაოდენობისთვის, ხოლო ყოველდღიური მართვა განხორციელდება ადგილობრივი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიერ. ამ დამხმარე ერთეულის როლი ასე ჩამოყალიბდება: სპეციალისტის სტატისტიკური პროგრამებით უზრუნველყოფა თითოეული ცდის პროექტირებისა და ანალიზის დროს, რათა მათი მეშვეობით სასარგებლო და სანდო შედეგები იქნას მიღებული; სხვადასხვა მუნიციპალური ოფისის მიერ მრავალ ნაკვეთზე ჩატარებული ცდების კოორდინირება შესაბამის ტექნიკურ ერთეულთან თანამშრომლობით; ეფექტური მეთოდოლოგიის შემუშავება ფერმის დემონსტრირების და ცდების განსახორციელებლად (ჩანაწერების უზრუნველყოფა და ანალიზი, საჩვენებელი ბანერები, ლიფლეტები, რეკლამა და ა.შ.), საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომელთა ტრენინგი და მხარდაჭერა, რათა მათ საქმიანობას მაქსიმალური ზეგავლენა მოჰყვეს.

✓ მცენარეთა მავნებლების მონიტორინგისა და პროგნოზირების ერთეული ხელს შეუწყობს მეტეოსადგურების ქსელის შექმნას, მავნებელთა და დაავადებების გამოვლენისა და პრევენციის ორგანიზებას და საველე მონიტორინგს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მიღებული მონაცემების საფუძველზე შედგება შესაბამისი მოდელები და გამოყენებულ იქნება ნათესების დაცვის მიზნით გაფრთხილებისა და კონსულტაციებისთვის. ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული მართვის მომავალში შესაქმნელ სისტემაში, რომელიც მიზნად ისახავს მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას პესტიციდების შემცირებული გამოყენებით. სურსათის ეროვნულ სააგენტოში უკვე მიმდინარეობს მუშაობა ზოგიერთი აუცილებელი მეტეოსადგურის ორგანიზებისთვის.

✓ სტატისტიკისა და კულტურათა პროგნოზირების ერთეული. საქსტატის ზოგადი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების სტრატეგიიდან გამომდინარე, სახელმწიფო ექსტენციის ცენტრს შესაძლოა დასჭირდეს მცირერიცხოვანი ერთეული, რომელიც მხარს დაუჭერს და წარმართავს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მუშაობას საველე მონაცემთა შეგროვებისა და კულტურათა პროგნოზირების სფეროში. თუმცა, ალტერნატივის სახით, ამ ამოცანის შესრულება საქსტატსაც შეუძლია.

- დამხმარე ერთეულები

✓ მედია ექსტენციის ერთეული. ვინაიდან საქართველოში ასობით ათას ფერმერთან არის საჭირო კონტაქტის დამყარება, ინფორმაციის მასობრივი გავრცელება ექსტენციის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი იქნება, რაც ნაჩვენებია ინფორმაციის ნაკადის დიაგრამაზე. ამ ერთეულის ამოცანებია:

- ექსტენციის სამსახურის ინტერნეტ გვერდის მართვა, ადგილობრივი ოფისებიდან მასალების მოთხოვნისა და განთავსების ჩათვლით. ამაში მას დახმარებას გაუწევს სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სამსახურის პერსონალი, ვიდრე ექსტენციის სამსახურს არ ექნება თავისი საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთეული;

- ინფორმაციის გავრცელების აქტიური პროგრამის შემუშავება და განხორციელება ქვეყნის მასმედიის მეშვეობით, ტელევიზიის, რადიოს, გაზეთებისა და ფერმერული ჟურნალების ჩათვლით;

- მასალის ტექნიკურ შინაარსს ექსტენციის სამსახურის სხვადასხვა ერთეული უზრუნველყოფს, მაგრამ მედია ექსტენციის ერთეული პასუხისმგებელი იქნება პრეზენტაციაზე და მას-მედიასთან კავშირზე, ექსტენციის მასალების გამოქვეყნებისა და გავრცელების უზრუნველსაყოფად. ექსტენციის რეგიონული ცენტრებისა და მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებისთვის დახმარების გაწევა. ამის მიზანია დაეხმარონ ადგილობრივ სამსახურებს ადგილებზე მომუშავე მედია საშუალებების რესურსების გამოყენებაში. ეს თავდაპირველად უნდა განხორციელდეს ტრენინგების მეშვეობით, ხოლო შემდეგ მათთვის საბაზისო სტატიების მიწოდებით, რომელთა ადაპტირება და პერსონალიზება შესაძლოა ადგილობრივი პერსონალის პერეოგატივა გახდეს. ქვეყნის საუკეთესო ექსპერტებს საშუალება მიეცემათ მოამზადონ ძირითადი ტექსტი, მაგრამ ამავდროულად, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს საშუალება ექნებათ დაამატონ ფოტოსურათები, ან ინტერვიუ ადგილობრივ ფერმერებთან, რათა მასალა უფრო დამაჯერებელი გახდეს ადგილობრივი აუდიტორიისთვის. როდესაც საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური განსაკუთრებით კარგ მასალას შეაგროვებს, მაგალითად, სადემონსტრაციო ნაკვეთების შესახებ, მედია-ექსტენციის ერთეული მას უფრო ფართო აუდიტორიას გააცნობს ქვეყნის მას-მედიისა და თავისი ინტერნეტ გვერდის გამოყენებით. სამსახურის სპეციალისტთა მიერ შექმნილი ექსტენციის მასალების გამოშვების ორგანიზება, მაგალითად ლიფლეტებისა და სახელმძღვანელოების ცენტრალური წესით დაბეჭდვისას ეფექტურობის მიღწევა მასშტაბის გაზრდისა და პროფესიონალი დიზაინერების გამოყენებით;

- ტექნიკურ სპეციალისტთა მხარდაჭერა ექსტენციის თითოეული პაკეტის გავრცელებისთვის სათანადო სტრატეგიის შექმნის მიზნით;

- ბეჭდური მასალის მასობრივი გავრცელების დაგეგმვა და მხარდაჭერა ყველა შესაბამისი არხის გამოყენებით. მაგალითად ლიფლეტების დალაგება ვეტერინარულ სადგურებში, წარმოების საშუალებების გასაყიდ მაღაზიებში და სასურსათო ბაზრებში, მასალების დარიგება რძის მწარმოებლებისთვის, ან წისქვილკომბინატებისთვის, რათა მათ ისინი თავიანთ ფერმერებს მიაწოდონ. ამის განხორციელება ჩვეულებრივ მოითხოვს ექსტენციის რეგიონული/მუნიციპალური სამსახურების ჩართვას, მაგრამ მედიის მხარდამჭერი ერთეულის როლი იქნება დაგეგმვა და მისი განხორციელების უზრუნველყოფა - მათი სამუშაო არ მთავრდება ლიფლეტის დაბეჭდვით, იგი მთავრდება მაშინ, როდესაც ფერმერი მას ხელში აიღებს და წაიკითხავს.

- ✓ **ინფორმაციული ტექნოლოგიის (IT) ერთეული.** IT ერთეული განახორციელებს ნებისმიერი ორგანიზაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისთვის დამახასიათებელ მოვალეობებს: აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა და მოვლა; მომხმარებლების ტრენინგი და დახმარების გაწევა; სპეციალისტთა მომზადება, ან დაქირავება; ექსტენციის სამსახურის ვებგვერდის და მონაცემთა ბაზის წარმოება. როდესაც ექსტენციის სამსახური დაადგენს, რომ საჭიროა ფერმერებს ასწავლონ კონკრეტული კომპიუტერული პროგრამის გამოყენება, IT ერთეული მას ამის ორგანიზებაში დაეხმარება.

✓ **ტრენინგების ერთეული.** ტრენინგი ექსტენციის სამსახურის განუყოფელი ნაწილი იქნება. მისი მეშვეობით კონსულტანტებს მუდმივად შეეძლებათ თავიანთი პროფესიული და ბიზნეს-ცოდნის განახლება, ასევე, ექსტენციის უნარების განვითარება ისეთ სფეროებში, რომლებსაც ანალიზი და კომუნიკაცია სჭირდება. ამ ერთეულის მოვალეობა იქნება ტრენინგის გეგმების შედგენა, ტრენინგების კოორდინირება კონსულტანტთა სამუშაო დატვირთვის შესაბამისად, ტრენინგის ჩანაწერების შედგენა და ტრენინგის ეფექტურობის მონიტორინგი; ასევე, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა - ტრანსპორტის ორგანიზება, განთავსება, ტრენინგის ოთახის მოწყობა და სხვა ორგანიზაციული ამოცანის გადაწყვეტა ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე. იგი ასევე დახმარებას გაუწევს ექსტენციის რეგიონულ ცენტრებს და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს ფერმერებისთვის ტრენინგის კურსების, მაგალითად „ზამთრის სკოლები“ შემუშავებაში და ჩატარებაში.

✓ **ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების ერთეული.** საბოლოო ფაზაში, როდესაც სახელმწიფო ექსტენციის სამსახური სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ცალკე იურიდიულ ერთეულად ჩამოყალიბდება, მას შეიძლება დასჭირდეს სხვადასხვა ადმინისტრაციული ამოცანის განხორციელება, რომლებსაც ამჟამად სამინისტროს დეპარტამენტები ასრულებენ და ამისთვის მას დასჭირდება პერსონალი და სათანადო სტრუქტურა.

ამ ოთხმა დამხმარე ერთეულმა (მედია ექსტენციის ერთეული, ინფორმაციული ტექნოლოგიის ერთეული, ტრენინგების ერთეული, ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების ერთეული) ფუნქციონირება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, ხოლო სპეციალიზებული ერთეულების საჭიროება, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ადმინისტრირებაზე, ფინანსურ და ადამიანური რესურსების მართვაზე, დამოკიდებული იქნება საბოლოო მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

ექსტენციის ეს სტრატეგია იმ დაშვებას ეფუძნება, რომ მთლიანად ექსტენციის სისტემაში მომუშავე და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომელთა რაოდენობა უცვლელად დარჩება დასაქმებულთა ნიშნულზე, ხოლო ახალი ექსტენციის ეროვნული ცენტრის და რეგიონული/მუნიციპალური სამსახურების ფორმირება არსებული პერსონალისა და ბიუჯეტის გადაჯგუფებით მოხდება.

ამდენად, ექსტენციის სამსახური უპირატესად დაინტერესებულ მხარეთა სპეციფიკურ ჯგუფთან, ფერმერებთან ითანამშრომლებს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით დოვლათის დაგროვების ხელშეწყობის მიზნით. ეს სამსახური ფერმერებისთვის იარსებებს და ისინი მის მართვაში უმთავრეს როლს შეასრულებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ექსტენციის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ განვსაზღვროთ, თუ როგორ შეიძლება ექსტენციის ცენტრალურ სისტემასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის ჩამოყალიბება. რამდენიმე საწყისი წინადადება ამ მიმართულებით მოიცავს შემდეგს:

✓ საქართველოს ექსტენციის ცენტრალურმა და რეგიონალურმა ერთეულებმა დახმარება გაუწიონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექსტენციონისტებს/კონსულტანტებს, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განხორციელების მექანიზმების, ექსტენციის პაკეტების, სხვადასხვა სახის დამატებითი მასალების და მედია-ექსტენციის ერთეულის მომსახურების ჩათვლით;

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისმა უწყებამ უნდა უხელმძღვანელოს ექსტენციის პაკეტების შემუშავებას იმ სექტორებისთვის, რომელთა პროდუქცია უშუალოდ არის დაკავშირებული აჭარასთან და ხელმისაწვდომი გახადოს ექსტენციონისტებისთვის საქართველოს მასშტაბით; მათ ასევე უნდა გამოიყენონ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრალური და რეგიონალური სამსახურების მიერ დარგობრივ ჭრილში შექმნილი ექსტენციის სხვა პაკეტები;

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექსტენციონისტები ჩართულნი უნდა იყვნენ ქვეყნის მასშტაბით განსახორციელებელ ტრენინგის პროგრამებში, რაც საჭიროა მეტი ეფექტურობისთვის და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის გაძლიერებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონების კოლეგებს შორის;

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისმა უწყებამ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ექსტენციის რეგიონული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში მოვა საერთო ეროვნული ექსტენციის სტრატეგიის ძირითად ხედვებთან. ამის გათვალისწინებით, აჭარა გამოიყენებს ექსტენციის ცენტრალური სამსახურის მიერ შექმნილ ექსტენციის პაკეტებს და მონაწილეობას მიიღებს მის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში;

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექსტენციის ადგილობრივი ოფისების ყოველდღიური მართვა და საბიუჯეტო კონტროლი უნდა განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისმა უწყებამის მიერ დამტკიცებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად;

✓ ქვეყნის მასშტაბით უნდა შეიქმნას საბაზრო ინფორმაციის ერთიანი სისტემა და განხორციელდეს მთლიანი მოგების კვლევა, სადაც ექსტენციონისტები შეასრულებენ სავსე სამუშაოებს და სრული ხელმისაწვდომობა ექნებათ ეროვნული სისტემებით შექმნილ ინფორმაციაზე. ეს აქტივობები მათ სტრატეგიაში, სამუშაო გეგმასა და ბიუჯეტში უნდა აისახოს.

ეს შემოთავაზებული წინადადებები განხილული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის შესაბამისმა უწყების ხელმძღვანელობის მიერ სტრატეგიის პირველ ეტაპზე და შესაბამისად, დეტალური თანამშრომლობის შეთანხმებაც შემუშავდება.

თავი 6. საინფორმაციო სისტემები და თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

ძირითადი საინფორმაციო სისტემები მოიცავს შემდეგს:

- ექსტენციის რესურსების **ცოდნის ბაზას**;
- **მონიტორინგისა და უკუკავშირის სისტემას**, საექსტენციო მომსახურების გავლენის შესაფასებლად და ფერმერთა საჭიროებების საპასუხოდ;
- **კლიენტების მონაცემთა ბაზას**, რომელიც საფუძვლად უდევს მონიტორინგისა და უკუკავშირის სისტემას და პირდაპირი საფოსტო, SMS მომსახურებისა და სხვა ტიპის პროაქტიული ექსტენციის ბაზას წარმოადგენს (საინფორმაციო სისტემების დეტალური აღწერა მოცემულია **დანართი N 4 -ში**).

ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური ერთეულების ეფექტიანობის გაუმჯობესება არა მხოლოდ ამ ახალი საინფორმაციო სისტემების განვითარებას, არამედ სამინისტროში სხვა ტიპის მონაცემთა შეგროვების რაციონალიზაციასაც მოითხოვს იმისათვის, რათა ინფორმაცია უფრო ნაკლები დანახარჯებითა და უკეთესი ხარისხით შეგროვდეს. საქართველოს ექსტენციის სამსახური ითანამშრომლებს შემდეგ დაინტერესებულ ინსტიტუციებთან:

- საქართველოს აგრარული განათლების/ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელების სისტემასთან;
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან;
- კერძო და არასამთავრობო სექტორთან.

საქართველოს აგრარული განათლების/ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელების სისტემა სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს - კვლევას, ექსტენციასა და წვრთნას/ტრენინგს, რომლებიც ურთიერთქმედებენ და აყალიბებენ ცოდნისა და ინფორმაციის გენერირების, გავრცელებისა და გამოყენების უწყვეტ ჯაჭვს. წარმოდგენილი ექსტენციის სტრატეგია ემყარება ამ სამი კომპონენტის თანაბარ, თუმცა დამოუკიდებელ და ამავე დროს მჭიდროდ დაკავშირებულ ურთიერთობას დაფუძნებულს რეგულარულ უკუკავშირისა და კომუნიკაციაზე. ექსტენციის სამსახური შეიმუშავებს და წახალისებს უკუკავშირისა და ორმხრივი დისკუსიების მექანიზმებს, რომლებიც მოიცავენ შემდეგს:

- ✓ რეგულარული ანგარიშგება ექსტენციის სამსახურის მიერ გატარებულ აქტივობებზე და იმ საკითხებზე, რომლებზეც ფერმერებმა მოითხოვეს კონსულტაციები;
- ✓ სატელეფონო გამოკითხვებისა და პერსონალური ინტერვიუების შედეგები;
- ✓ ღია დისკუსიები ინტერნეტ ფორუმებზე, ექსტენციის სამსახურის ვებგვერდსა და Facebook გვერდზე, რაც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს მიმოიხილონ და შეაფასონ მიღებული რჩევების ხარისხი.

საქართველოს აგრარული განათლების/ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელების სისტემაში უმნიშვნელოვანეს ერთეულებს წარმოადგენენ სამეცნიერო - კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტები. ამჟამად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კვლევები ახალდაარსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კოორდინაციითა და აგრარული უნივერსიტეტის, ასევე

ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში ხორციელდება. სასურველია, რომ ამ ორგანიზაციებს ჰქონდეთ წარმომადგენლობა ექსტენციის ფერმერთა ეროვნულ საბჭოში და ამ გზით ხელი შეეწყონ ინფორმაციის ნაკადების მოძრაობას.

ექსტენციის სამსახური მჭიდრო კავშირშია ფერმერებთან, როგორც საბოლოო მომხმარებლებთან და ამგვარად, საკმაოდ კარგად შეუძლია მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების გამოვლენა და სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტებისთვის გადაცემა. ეს მოხდება ექსტენციის ფერმერთა ეროვნული საბჭოს ფარგლებში, პროფესიონალებსა და ინსტიტუტებს შორის ინფორმაციის ფორმალური და არაფორმალური გაცვლის გზით.

„ექსტენციის პაკეტების“ მიდგომა ძალიან ეფექტური იქნება გამოყენებითი კვლევების პრიორიტეტების დადგენაში, ვინაიდან პაკეტების შემუშავებაზე მომუშავე სპეციალისტები სწრაფად წააწყდებიან ცოდნაში არსებულ ხარვეზებსა და მონაცემთა ნაკლებობას პაკეტების გარკვეული ასპექტების მომზადებისას. მონიტორინგი და უკუკავშირი, ისევე როგორც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ასევე ძლიერ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ ფერმერთათვის, რათა მათ უკეთ გაახმაურონ თავიანთი მოთხოვნები კვლევის სფეროში.

ფერმერთა უმრავლესობას საქართველოში სადღეისოდ სოფლის მეურნეობაში ფორმალური კვალიფიკაცია არ გააჩნია და მათი უმრავლესობა ძალიან დატვირთულია მიმდინარე საქმიანობით საიმისოდ, რომ მუდმივი განათლების მიღებით დაკავდნენ. მიუხედავად ამისა, ტრენინგის დაწესებულებებს პროფესიონალი ფერმერების შემდგომი თაობების მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ. მათ ასევე ფერმერებისათვის გადამზადების პრაქტიკული კურსების შეთავაზებაც შეუძლიათ, რომელიც ფარავს როგორც პრაქტიკულ საკითხებს, ასევე სხვა სპეციფიკურ ასპექტებს, რომლებიც მათ საქმიანობას ეხება.

ექსტენციის სამსახურის მიერ მომზადებული ყოველი ექსტენციის პაკეტი უნდა მოიცავდეს გავრცელების გეგმასაც, გზავნილის ყველაზე მისადაგებული მედიის საშუალებით გასავრცელებლად. იქ, სადაც ყველაზე ოპტიმალური საშუალება გადამზადების კურსები იქნება, ექსტენციის სამსახურები ჩართავენ ტრენინგის მიმწოდებელ დაწესებულებებს პაკეტების ეფექტიან განხორციელებაში. თანამშრომლობა ორმხრივად იმუშავებს, პროფესიული დაწესებულებების სტუდენტები მოწვეულნი იქნებიან ექსტენციის სამსახურის მიერ ორგანიზებულ საცდელ და სადემონსტრაციო აქტივობებზე დასასწრებად, რათა საქართველოს ფერმერებს შეექმნათ წარმოდგენა დანერგილი უახლესი ტექნოლოგიების შესახებ.

✓ **რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა**

სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და ტრენინგის სისტემაში ჩართული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ორგანიზაციების მხარდაჭერის გაწევაში ამჟამად ჩართულნი არიან გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) და შვეიცარიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

თავის მხრივ, ექსტენციის სამსახურები გააგრძელებენ რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის პრაქტიკას. ასევე მონაწილეობას მიიღებენ სხვა ქვეყნების

ექსტენციის სამსახურების გაცვლით ვიზიტებში. ისინი ასევე ნაყოფიერად გამოიყენებენ კერძო და არასამთავრობო სექტორში მომზადებულ ექსტენციის მასალებს.

ექსტენციის სამსახურს ბოლო წლებში საერთაშორისო დონორებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს, მათ შორის აღსანიშნავია:

- ✓ ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამა, რომელიც აჭარაში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ხოლო დანარჩენ საქართველოში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ეგიდით ხორციელდება;

- ✓ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და შვეიცარიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებითა და გაეროს განვითარების პროგრამის UNDP განხორციელებით მიმდინარე პროექტი „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემების მოდერნიზება“;


- ✓ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) „ექსტენციისა და საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერის“ (SEAS) (დასრულებულია), ასევე „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ (EPI) (დასრულებულია) და „ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების“ (NEO)(დასრულებულია), „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი/REAP“ (მიმდინარე), ZRDA (მიმდინარე) პროექტებით.

ასეთმა მხარდაჭერამ მოიტანა ფინანსური რესურსები, შესაძლებელი გახდა მაღალი დონის ექსპერტების მოწვევა და ახალი იდეების მუდმივი შემოღების უზრუნველყოფა. ასევე შესაძლებელი გახდა დანარჩენ მსოფლიოსთან პროფესიული კავშირურობის განმტკიცება.

ტერმინთა განმარტებები

ექსტენცია - მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორცაა „ გაფართოება, გავრცელება, განვითარება“. ეს არის პროცესი, რომელიც სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის წარმატებით განვითარებასა და შეცვლის პირობას იძლევა ინფორმაციის, ცოდნის გადაცემისა და ახალი ტექნოლოგიების დემონსტრირების გზით;

ექსტენციის პაკეტი - ექსტენციონისტების/მრჩეველებისა და ფერმერების მიერ ინფორმაციის, ცოდნის გადაცემისა და ახალი ტექნოლოგიების დემონსტრირების პროცესში გამოსაყენებელი მასალები;

კონსულტირება - მომსახურების გაწევის საქმიანობა,  კომუნიკაცია ორ მხარეს შორის ურთიერთობის პროცესი, რომლის დროსაც ერთი მხარე - კონსულტანტი ამარაგებს მეორე მხარეს (მაგალითად, ფერმერს) რჩევებით პრობლემების გადალახვის მიზნით. თუმცა, ამ ორმხრივ ურთიერთობაში საბოლოო გადაწყვეტილება და შესაძლო შედეგებზე პასუხისმგებლობაც რჩევების მიმღებზეა;

კვლევისა და კონსულტირების სისტემა - სამეცნიერო-კვლევითი შედეგების დემონსტრირებისა და გავრცელების კომბინაცია, რათა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ფერმის ეკონომიკურ - ეკოლოგიური პოტენციალი მისი გრძელვადიანი განვითარებისათვის;

ექსტენციონისტი - სოფლის მეურნეობის დარგის ზოგადი სპეციალისტი, რომელსაც გარდა დარგობრივი ცოდნისა, გააჩნია კარგად განვითარებული კომუნიკაციის, კვლევის, ცოდნის გადაცემისა და ორგანიზების უნარ-ჩვევები;

ექსტენციის გზავნილი - ინფორმაცია, რომელიც ფერმერს ფერმის პროდუქტიულობისა და მომგებიანობის გასაზრდელად კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად სჭირდება;

მასალები - რესურსი, რომელიც ექსტენციის სამსახურს სჭირდება ფერმერისთვის გზავნილის გადასაცემად. ზოგ შემთხვევაში ეს არის ფიზიკური მასალა, კერძოდ, ნაბეჭდი ლიფლეტები, ხოლო სხვა შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს მოქმედება, მაგალითად - სადემონსტრაციო ნაკვეთები;

საშუალება - ინფორმაციის ფაქტობრივი გადაცემის გზა - პირადად, ტელევიზიით, წარმოების საშუალებების მიმწოდებელთა მეშვეობით და ა.შ.’

ცდა - სხვადასხვა მოცემულობათა შედარება (სახეობების/ჯიშების, კვების რეჟიმების, კულტივაციის მეთოდების და ა.შ.) ერთგვაროვან პირობებში, რათა დადგინდეს რომელიმეს უპირატესობა;

დემონსტრირება - ახალი პრაქტიკის გამოყენების პროცესი და ჩვეულებრივი ფერმის პირობებში მისი წარმატებულობისა და მომგებიანობის ილუსტრირება;

ექსტენციის სამსახური - სხვადასხვა სახის ცოდნისა და ინფორმაციის გადაცემის სისტემა;

სადემონსტრაციო ნაკვეთი - ადგილი, სადაც განხორციელებულია წარმატებული და სამაგალითო აგროტექნოლოგიური ღონისძიებები და მიღებულია საუკეთესო თვალსაჩინო შედეგები;

რეპლიკაცია - რაიმე საკითხის, ხერხის, მიდგომის, შედეგის გავრცელების პროცესი;

ექსტენციის ბირთვი - ადამიანთა ძირითადი ჯგუფი, ვინც განახორციელებს და პასუხისმგებელი იქნება ექსტენციის პროცესზე;

საპილოტე რეგიონი - წინასწარ შერჩეული რეგიონი/ები, სადაც ხორციელდება ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი ღონისძიებების გამოცდა;

ლიფლეტი - ერთგვერდიანი სერია, რომელიც იბეჭდება დიდი რაოდენობით და ფართოდ ვრცელდება წარმოების საშუალებების და მომსახურების მიმწოდებლების, ფერმერთა ასოციაციების, კოოპერატივებისა და თავად ექსტენციის სამსახურის მიერ;

პოსტერი - ფერმერებისთვის მწვავე საკითხების (მაგალითად, პესტიციდებისა და დაავადებათა საფრთხეების შესახებ) გაცნობის მიზნით შექმნილი ვიზუალური მასალა. ლიფლეტებისა და პოსტერების მომზადების კამპანია იგეგმება სეზონის საკვანძო პერიოდების გათვალისწინებით იმგვარად, რომ ფერმერებმა ინფორმაცია მიიღონ ზუსტად საჭირო დროს;

ბროშურა - ერთი ან მეტი მრავალგვერდიანი გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია ლიფლეტებში მოცემული მთელი ინფორმაცია, ურიგდებათ ფერმერებს მთელი წლის განმავლობაში და განსაკუთრებით გამოიყენება ფერმერთა ზამთრის სკოლებში ჩატარებულ ტრენინგებზე;

საველე დღეები - გაცხადებული თარიღი, როდესაც ორგანიზებული იქნება ფერმერთა კოლექტიური დასწრება სადემონსტრაციო ნაკვეთებზე სხვადასხვა აგროტექნოლოგიური ღონისძიებების საჩვენებლად და ასახსნელად;

გზავნილი - არის ინფორმაცია, რომელიც ფერმერს ფერმის პროდუქტიულობასა და მომგებიანობის გასაზრდელად კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად სჭირდება;

მასალები - არის რესურსი, რომელიც ექსტენციის სამსახურს სჭირდება ფერმერისთვის გზავნილის გადასაცემად. ზოგ შემთხვევაში ეს არის ფიზიკური მასალა, კერძოდ, ნაბეჭდი ლიფლეტები, ხოლო, სხვა შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს მოქმედება, მაგალითად - სადემონსტრაციო ნაკვეთები;

საშუალება - არის ინფორმაციის ფაქტობრივი გადაცემის გზა - პირადად, ტელევიზიით, წარმოების საშუალებების მიმწოდებელთა მეშვეობით და ა.შ.;

ცდებისა და დემონსტრირების ურთიერთშედარება - ცდის მთავარი მიზანია სხვადასხვა მოცემულობათა შედარება - სახეობების/ჯიშების, კვების რეჟიმების, კულტივაციის მეთოდების და ა.შ. - ერთგვაროვან პირობებში, რათა დადგინდეს, რომელი „მუშაობს“ უკეთ;

დემონსტრაციის ძირითადი მიზანი - ფერმერებისათვის ახალი პრაქტიკის გამოყენების ჩვენება და ჩვეულებრივი ფერმის პირობებში მისი წარმატებულობისა და მომგებიანობის ილუსტრირება;

ჯგუფური ექსტენცია - მუშაობა ფერმერთა ჯგუფებთან, როდესაც ერთ მრჩეველს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე ფერმერს ჩაუტაროს კონსულტაცია; ფერმერებს საშუალება ეძლევათ განიხილონ თავიანთი პრობლემები და ისწავლონ ერთმანეთისაგან და არა მხოლოდ მრჩეველისაგან. ამ დროს ხდება გამოვლენა ფერმერთა ბუნებრივი დაჯგუფებისა, რაც დროთა განმავლობაში უფრო ფორმალურ ფერმერთა ასოციაციებში ან კოოპერატივებში გადაიზრდება;

ფერმერთა თემატური ჯგუფები - ჯგუფური ექსტენციის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ერთი რომელიმე პროდუქტის მწარმოებელ ფერმერთა ჯგუფი (მაგ., მერძევე ფერმერები) ერთად იკრიბებიან კონკრეტული მიზნის შესათანხმებლად და მის მისაღწევად (მაგ., საშუალო წველადობა თითოეული ძროხიდან 2 ტონამდე გაზარდონ) რეგულარული შეხვედრების მეშვეობით. [2][2][2] შეხვედრებს ფასილიტაციას უწევს მრჩეველი, მაგრამ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ფერმერთა მიერ ერთმანეთისათვის ცოდნა-გამოცდილების გაზიარებასა და გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების გამოძებნაზე;

ინდივიდუალური კონსულტაცია - მრავალ ქვეყანაში ინდივიდუალური კონსულტაციები ექსტენციის უმთავრესი კომპონენტია, მაგრამ საქართველოში, სადაც ყოველ მრჩეველზე 2000-ზე მეტი ფერმერი მოდის, ასეთი მიდგომა არც პრაქტიკულია და არც ეკონომიური. აქედან გამომდინარე, ექსტენციის სერვისის ძირითადი აქცენტი გაკეთდება დემონსტრაციების, მესამედიამი გაშუქების, პუბლიკაციებისა და ჯგუფური სამუშაოების კომბინაციაზე. თუმცა

ინდივიდუალურ ფერმერებთან მუშაობა ამ ღონისძიებათა ერთობლიობის გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენს და მოიცავს შემდეგს:

E-ექსტენცია - საქართველო, მობილური სატელეფონო ქსელით ტერიტორიის დაფარვისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ამრიგად, ფერმერები ერთმანეთთან უკვე არიან გარკვეულწილად დაკავშირებულნი. მალე 'სმარტფონი' ჩვეულებრივი მოხმარების საგანი გახდება და ფერმერებსაც თანდათანობით ჩაანაცვლებს ინტერნეტის თაობა, რის შედეგადაც e-ექსტენცია ყველაზე ეფექტური მექანიზმი იქნება;

SMS [XXXXXXXXXXXX] - მოკლე მიზნობრივი ტექსტური შეტყობინებები, მათ შორის 'სმარტფონის' გამოყენებით კონკრეტულ ფერმერთათვის ინფორმაციის მისაწოდებლად საჭირო დროს. ეს მეთოდი აპრობირებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნების ექსტენციის სამსახურების მიერ, საქართველოს ექსტენციის სამსახური დაიწყებს მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და ტვიტერის სერვისების განვითარებას, განსაკუთრებით ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა მავნებლების შესახებ გაფრთხილების კონტექსტში. ამ თვალსაზრისით სამუშაო ჩატარდება სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

დანართები

დანართი N1. მიდგომა და მიზნობრიობა, ზოგადი მოსაზრებები (სახელმწიფო ექსტენციის ეკონომიკური დასაბუთება: „საზოგადო“, „კერძო“ და „კლუბური სიკეთე“)

ეკონომისტები ანსხვავებენ *კერძო*, *საზოგადო* და *„კლუბურ სიკეთეს“* იმის მიხედვით, არიან თუ არა ისინი *მეტოქეობისუნარიანი* თუ *გამორიცხვადნი*. მრჩევლის მომსახურება, რომელიც ცალკეულ ფერმერს ბიზნეს გეგმას უმზადებს, *„კერძო სიკეთის“* მაგალითია. ეს მომსახურება *მეტოქეობისუნარიანია*, ვინაიდან ბიზნეს გეგმაზე მომუშავე მრჩევლის მომსახურება სხვებისათვის მიუწვდომელია. ის ასევე *გამორიცხვადიცაა*, იმდენად რამდენადაც ექსტენციის მომსახურების მომწოდებელმა შესაძლოა მომსახურება მხოლოდ იმ ფერმერებს გაუწიოს, რომლებიც მომსახურებისთვის შესაბამისად გადაუხდიან. უმეტეს შემთხვევაში, როცა ექსტენციის მუშაკები ცალკეულ ფერმერებს სპეციფიკურ რჩევებს აძლევენ, საქმე *„კერძო სიკეთესთან“* გვაქვს.

რადიოთი გავრცელებული საბაზრო ინფორმაცია *„საზოგადო სიკეთის“* მაგალითია, ვინაიდან ის არაა *მეტოქეობისუნარიანი*, ვინაიდან ერთ მსმენელს არ შეუძლია შეზღუდოს დანარჩენები ამავე გადაცემის მოსმენაში. ეს არც *გამორიცხვადია*, ვინაიდან ინფორმაციის მომწოდებელს არ ძალუძს ვინმეს რადიოს მოსმენა შეუზღუდოს და ამგვარად ინფორმაციის მოსმენაში ფული გადაახდევინოს. მასმედია ექსტენციის უმეტესი ფორმების (ტელევიზია, რადიო, გაზეთები, სოციალური მედია პოსტერების კამპანია და სხვა) *„საზოგადო სიკეთის“* კატეგორიას განეკუთვნება.

სადემონსტრაციო ბაღი *„კლუბური სიკეთის“* მაგალითია. ის არაა *მეტოქეობისუნარიანი*, რადგანაც ფერმერი, რომელიც მას აკვირდება, არ სარგებლობს მისით და არც სხვას უშლის მასზე დაკვირვებას. ამავე დროს ის *გამორიცხვადია*, რადგანაც მფლობელმა ორგანიზაციამ შესაძლოა ფერმერებს ვიზიტში ფული გადაახდევინოს. ნაბეჭდი ბროშურები და ლიფლეტები უკეთეს შემთხვევაში ასევე *„კლუბურ სიკეთედ“* ითვლება, ვინაიდან ფიზიკური ეგზემპლარები *მეტოქეობისუნარიანია*, მაგრამ ხარჯების უმეტესი წილი ტექსტის მომზადებაზე მოდის, რომლის დაბეჭდვა და გადაბეჭდვა საჭიროების მიხედვით შეიძლება. ვებგვერდებმა შესაძლოა *„კლუბური სიკეთის“* მსგავსად იფუნქციონირონ (მაგ, საბაზრო ინფორმაციის სისტემის გამოწერა), მაგრამ ფერმერთა სამრჩევლო ინტერნეტ გვერდები ძირითადად შეუზღუდავადაა ხელმისაწვდომი და მასმედია ექსტენციის სხვა ფორმების მსგავსად, *„საზოგადო სიკეთის“* სახით იფუნქციონირებენ.

საბაზრო ეკონომიკაში, როგორც წესი *„კლუბური სიკეთე“* საჭიროზე მცირე რაოდენობით, ხოლო *„საზოგადო სიკეთე“* საერთოდ არ იწარმოება. ამგვარად, სახელმწიფოს შეუძლია ჩარევა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და *„კლუბური სიკეთის“* ადეკვატური მიწოდების უზრუნველსაყოფად.

დანართი N2. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის გზავნილების მაგალითები

გზავნილის მაგალითი N1 - მსხვილი რქოსანი პირუტყვი

გზავნილი ¹	მასალები	საშუალება
1. გაუმჯობესებული კვება		
<ul style="list-style-type: none"> ○ ტიპი და რაოდენობა: საკვების მიცემის შეთავსება ლაქტაციის პერიოდთან, მეტი და საკვების უფრო ეფექტიანი გამოყენება ლაქტაციის ადრეულ პერიოდში წველადობის გასაზრდელად ○ ფურაჟი: ფურაჟის მაქსიმალური გამოყენება, რისთვისაც იგი უნდა იყოს კარგი ხარისხის და მუდამ ხელმისაწვდომი ○ წყალი: წყალი მუდამ უნდა მიეწოდოს საქონელს, როგორც ბოსელში, ისე საძოვარზე 	<ul style="list-style-type: none"> ○ ფერმებში ხდება საწყისი რესურსების, შედეგებისა და მოგების დემონსტრაცია ○ სადემონსტრაციო საქმიანობაზე დაფუძნებული სატელევიზიო პროგრამები ○ ფერმის ჩანაწერების ფორმები სადემონსტრაციო ფერმებისთვის, შესადარებელი ერთეულები და ფერმები, რომლებიც ინდივიდუალურ კონსულტაციას იღებენ ○ კვების პროგრამული უზრუნველყოფა, სახელმძღვანელო და ცხრილები* ○ მოკლე ლიფლეტები მრკ-ის კვების შესახებ, ადაპტირებული რეგიონულ პირობებთან და არსებულ საკვებთან ○ მრკ-ის შესახებ ძირითად ბროშურაში სპეციალური თავი 	<ul style="list-style-type: none"> ○ ფერმერთა სადემონსტრაციო დღეები ○ გადაცემის პროგრამა რეგიონულ სატელევიზიო არხზე, შემდგ 'YouTube'-ზე ○ ბროშურების დარიგება ○ ლიფლეტების დალაგება აგრარულ და ვეტერინარულ მაღაზიებში ○ მასმედიის გამოყენება საკვანძო გზავნილების გადასაცემად, ინფორმაციის გასავრცელებლად იმის შესახებ, თუ სად შეუძლიათ ნახონ დემონსტრაციები და მიიღონ ბროშურები და ლიფლეტები
2. გაუმჯობესებული მოვლა		
<ul style="list-style-type: none"> ○ კვება: ძროხის კარგად კვება მაკეობის მთელ პერიოდში; ხბოს საკმარისი კვება, რათა მან ზრდასრულ ზომას მიაღწიოს 24 თვეში ○ დედის რძის წოვების შეწყვეტა: ასხლეტა უნდა მოხდეს თანდათანობით; დროთა განმავლობაში მიაწოდეთ მყარი საკვები და ფურაჟი ○ პარაზიტებისაგან დაცვა: უმკურნალეთ ხბოებს გადამწყვეტ მომენტებში; ახალგაზრდა პირუტყვი ამოვეთ ზრდასრულებზე ადრე, რათა თავიდან აიცილოთ პარაზიტების გავრცელება 	<ul style="list-style-type: none"> ○ ხბოების ჩართვა ფერმების დემონსტრაციებში და მთლიანი მოგების გაანგარიშებებში (შედეგების მისაღწევად მინიმუმ 3 წელია საჭირო) ○ ხბოების ჩართვა საკვების სქემებში ○ მოკლე ლიფლეტები ხბოს კვების შესახებ, ასაკთან შესაფერი წონის მიღწევაზე ფოკუსირებით ○ მოკლე ლიფლეტი მოზარდი პირუტყვის ჯანმრთელობის პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ ○ მრკ-ის შესახებ ძირითად ბროშურაში სპეციალური თავი 	<ul style="list-style-type: none"> ○ იგივე, რაც განსაზღვრულია განყოფილებაში „გაუმჯობესებული კვება“

¹ სხვა მნიშვნელოვანი გზავნილია „რძის გაუმჯობესებული ჰიგიენა“ და „გაუმჯობესებული ცხოველთა საკვები“, თუმცა ეს რძის გამაციებლებსა და წნეხამკრეფებში ინვესტირებას მოითხოვს. ამგვარად, ეს საკითხები უფრო ეფექტიანად მოგვარდება, თუ ისინი დაუკავშირდება ფერმერებისთვის ხელმისაწვდომ, ამ აღჭურვილობის შექმნისთვის განკუთვნილ საგრანტო სქემებს.

გზავნილი ¹	მასალები	საშუალება
3. სამოვრების გაუმჯობესებული გამოყენება		
<ul style="list-style-type: none"> ○ მონაცვლეობა: მოვების მონაცვლეობა, რაც სამოვარს ადგენის საშუალებას მისცემს ○ სარწყულებლები: დარწყულების ადგილების უზრუნველყოფა, რათა საქონელმა მოიკლას წყურვილი და მინიმუმამდე შემცირდეს მანძილი სარწყულებლებამდე ○ შეღობვა: ელექტრო და მუდმივი ღობეების გამოყენება, რათა მოხდეს მონაცვლეობის და პირდაპირი მოძრაობის ხელშეწყობა და დატკეპნის თავიდან აცილება ○ განოყიერება: აზოტის სასუქის გამოყენება თივის წარმოების გაზრდისა და სამოვრის გაუმჯობესების მიზნით (განკუთვნილია კერძო სამოვრებისთვის) 	<ul style="list-style-type: none"> ○ ცდების ჩატარება სხვადასხვა პირობებში სასუქების ოპტიმალური გამოყენების დასადგენად (სჭრიდება 3-4 წელი; სამუშაო უნდა ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად) ○ სადემონსტრაციო ნაკვეთები (RED-ის პროექტთან ერთად) ○ თავი სამოვრების შესახებ სასუქების სახელმძღვანელოში* ○ მოკლე, პრაქტიკული ლიფლეტი მონაცვლეობის, შეღობვის და სარწყულებლების შესახებ ○ მოკლე ლიფლეტი სასუქების შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> ○ იგივე, რაც განსაზღვრულია განყოფილებაში „გაუმჯობესებული კვება“

გზავნილის მაგალითი N2 - კარტოფილი

გზავნილი	მასალები	საშუალება
1. გაუმჯობესებული თესვა		
<ul style="list-style-type: none"> ○ ჯიშები: შეარჩიეთ საუკეთესო ჯიშში ადრეული ან ძირითადი მოსავლისთვის, ადგილმდებარეობის და მავნებლებისა და დაავადებათა რისკების გათვალისწინებით ○ რესურსი: შეიძინეთ ახალი ვირუსგამძლე თესლი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ 	<ul style="list-style-type: none"> ○ ჯიშების ჩამონათვალი, სავსე გამოცდის საფუძველზე* ○ ჯიშთა სადემონსტრაციო ნაკვეთები* ○ ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით ვირუსგამძლე თესლის შეძენის სარგებლიანობის ასახვა ბრუმურებსა და ლიფლეტებში ○ კარტოფილის კულტურის შესახებ მთავარ ბროშურაში კონკრეტული თავები ○ კარტოფილის თესლის შესახებ ლიფლეტის გავრცელება თესვის დრომდე 2 თვით ადრე 	<ul style="list-style-type: none"> ○ ფერმერთა დემონსტრირების დღეები ○ ბროშურების გავრცელება ○ ლიფლეტების დალაგება კარტოფილის თესლით მოვაჭრე მაღაზიებში ○ მასმედიის გამოყენება საკვანძო გზავნილების გადასაცემად, ინფორმაციის გასავრცელებლად იმის შესახებ, თუ სად შეუძლიათ მიიღონ ბროშურები და ლიფლეტები

გზავნილი	მასალები	საშუალება
2. გაუმჯობესებული განოციერება		
<ul style="list-style-type: none"> ○ ტიპი: გამოიყენეთ NPK (აზოტი/ფოსფორი/კალიუმი), და არა მხოლოდ აზოტი ○ როდენობა: დამოკიდებულია ჯიშზე, ნიადაგის ტიპზე, მანამდე მოყვანილ კულტურასა და ადრე გამოყენებულ სასუქებზე, ნაკელის გამოყენებაზე ○ დრო: გამოიყენეთ ბოლო საგაზაფხულო კულტივაციის ან თესვის დროს 	<ul style="list-style-type: none"> ○ სასუქების შესახებ სახელმძღვანელოში* მარტივი ცხრილების ჩართვა ○ კარტოფილის კულტურისთვის პროგრამული უზრუნველყოფა სასუქების რეკომენდაციისთვის*, დიდი ნაკვეთებისთვის - სადაც ჩატარებულია ნიადაგის ანალიზი ○ სასუქიანი და უსასუქო სადემონსტრაციო ნაკვეთების* შედარება ○ კარტოფილის კულტურის შესახებ მთავარ ბროშურაში კონკრეტული თავი ○ მოკლე ლიფლეტი კარტოფილის ნათესების განოციერების შესახებ, ზოგადი სიტუაციისთვის შესაფერი სტანდარტული რეკომენდაციებით ○ უნდა ეფუძნებოდეს ნიადაგის ანალიზის გაუმჯობესებულ სისტემას* 	<ul style="list-style-type: none"> ○ იგივე, რაც განსაზღვრულია განყოფილებაში „უკეთესი თესვა“
3. კულტურის გაუმჯობესებული დაცვა		
<ul style="list-style-type: none"> ○ მცენარეთა დაავადებისაგან დაცვა: შეწამვლა დაავადების პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე, გამეორება 4-5 დღის შემდეგ, შემდეგ შეწამვლა ყოველ 7-14 დღეში ტენიან ამინდში ან ინსტრუქციის შესაბამისად; აქტიური ინგრედიენტების ცვლა მედეგობის განვითარების თავიდან აცილების მიზნით. ○ კოლორადოს ხოჭოსაგან დაცვა: ნათესების რეგულარული შემოწმება ჭურჭლების ადრეულ ეტაპზე გამოსავლენად და შეწამვლა ხოჭოს გამოსვლამდე; აქტიური ნივთიერებების ცვლა. ○ სარეველებისაგან დაცვა: რეგულარული კულტივაცია და როტაცია, სარეველებისაგან დასაცავად; სარეველების გაჩენამდე და მათი გაჩენის შემდეგ ჰერბიციდების გამოყენება იქ, სადაც სერიოზული პრობლემებია 	<ul style="list-style-type: none"> ○ კარტოფილის კულტურის შესახებ მთავარ ბროშურაში კონკრეტული თავი, დაავადების გამოვლენის, მკურნალობისა და პრევენციის შესახებ ○ დაავადების გამაფრთხილებელი სისტემა* მაღალი რისკის ამინდის დროს ○ 'მინდვრის შემოვლის' დემონსტრირება მავნებლებისა და დაავადებათა პრობლემების ადრეულად გამოსავლენად ○ კარგი აგრარული პრაქტიკის კოდექსში* სპეციალური თავის ჩართვა პესტიციდების უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ ○ ძირითადი გზავნილების მოკლე ლიფლეტი ○ ვიდეოფილმები მავნებელთა და დაავადებათა ამოცნობის შესახებ; და ჰერბიციდების გამოყენებით მიღებული 	<ul style="list-style-type: none"> ○ იგივე, რაც განსაზღვრულია განყოფილებაში „გაუმჯობესებული თესვა“ + ○ ლიფლეტების დალაგება პესტიციდებით მოვაჭრე მაღაზიებში ○ SMS-ით და რადიო-გაფრთხილების სისტემა კულტურის დაცვის შესახებ რჩევების დროულად მიცემის მიზნით ○ ვიდეომასალის გავრცელება ტელევიზიის მეშვეობით უშუალოდ რისკის პერიოდების დადგომამდე

გზავნილი	მასალები	საშუალება
	ეკონომიკური ზღვარის ჩვენება	

შენიშვნა: მასალები, რომლებიც მონიშნულია (*) ნიშნით, საერთო რესურსია, რომელიც მრავალ სექტორში გამოიყენება.

დანართი N3. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის პაკეტების მაგალითები

მასალები და მეთოდები

ამ გზავნილების მომზადებისა და გავრცელების მიზნით, ექსტენციის სამსახური მასალების და მეთოდების ფართო სპექტრს გამოიყენებს.

საცდელი და სადემონსტრაციო საქმიანობა ფერმერის დონეზე

იმის დასადგენად, თუ რა 'მუშაობს' საუკეთესოდ, შეიძლება ცდებისა და **დემონსტრირების** გამოყენება, რათა ფერმერებმა თავად ნახონ, რომ რჩევები პრაქტიკაში რეალურ შედეგებს იძლევა, ამასთან უნდა შეგროვდეს მონაცემები მასალებისა და ექსტენციის სხვა აქტივობების მოსამზადებლად. ზოგიერთი **ცდა** და **დემონსტრირება** შეიძლება დონორ პროექტებთან და/ან სამეცნიერო კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდეს.

ცდებისა და დემონსტრირების ურთიერთშედარება

ცდის მთავარი მიზანია სასოფლო სამეურნეო კულტურათა და ცხოველთა ჯიშების, კვების რეჟიმების, კულტივაციის მეთოდების და ა.შ. სხვადასხვა მოცემულობათა შედარება ერთგვაროვან პირობებში, რათა დადგინდეს რომელი 'მუშაობს' უკეთ. პირობები შესაძლებელია უფრო ინტენსიურად გაკონტროლდეს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ კომერციულ ფერმაში ხდება, ხოლო ცდა შეიძლება შეიცავდეს ისეთ რეჟიმს, რომელიც არ იქნას რეკომენდებული ფერმერებისთვის (მაგ., ტრადიციული, მაგრამ არაეფექტური პრაქტიკა) ახალ და გაუმჯობესებულ მიდგომებთან შესადარებლად. ცდები ხშირად ტარდება კვლევითი ინსტიტუტების, ან ექსტენციის სამსახურის კუთვნილ ფერმებში და მინდვრებზე.

დემონსტრაციის ძირითადი მიზანია ფერმერებისთვის ახალი პრაქტიკის გამოყენების ჩვენება და ჩვეულებრივი ფერმის პირობებში მისი წარმატებულობისა და მომგებიანობის ილუსტრირება. დემონსტრირება ჩვეულებრივ მოიცავს ერთ, ან ორ რეჟიმს, რომელიც ცდის საფუძველზე ეფექტურად იქნა მიჩნეული. დემონსტრირება ხშირად ხდება ჩვეულებრივ კომერციულ ფერმებში, რომლის ზომა და რესურსების დონე დამახასიათებელია იმ სამიზნე ჯგუფისთვის, რომლისთვისაც დემონსტრირება არის გამიზნული.

კარგი ცდის, ან დემონსტრირებისთვის საჭიროა კარგი დაგეგმვა, ადგილობრივ მრჩეველთა ხშირი ვიზიტები, შერჩეულ ფერმერებში რესურსების გარკვეული ოდენობის უზრუნველყოფა და კარგად გააზრებული სტრატეგია მიღებული შედეგების გაანალიზებისა და გავრცელებისთვის. ცდები და დემონსტრირება ხშირად რამდენიმე ადგილზე ერთდროულად მიმდინარეობს, რათა მოიცვას სხვადასხვა ბუნებრივი პირობები და სხვადასხვა ფერმერები; ამისთვის საჭიროა ცენტალური კოორდინაცია, რათა ყველა ადგილას გამოყენებული იქნას ერთი და იგივე მეთოდოლოგია.

ძირითადი მასალები

ექსტენციის პაკეტი, მაგალითად მსხვილი რქოსანი პირუტყვისთვის მოითხოვს საიმედო და დეტალურ ინფორმაციას კვების დონეებისა და რაციონის შესახებ, ხოლო სიმინდისა და კარტოფილის კულტურებისთვის საჭიროა კარგი ინფორმაცია სასუქების, მათი ტიპებისა და ნიადაგში შეტანის ვადების შესახებ. ამისათვის მრჩეველებს დასჭირდებათ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ✓ სახელმძღვანელო კვებისა და სასუქების შესახებ;
- ✓ პროგრამული უზრუნველყოფა კონკრეტულ ფერმებში კვებისა და სასუქების გამოყენების შესახებ რეკომენდაციების შესადგენად;
- ✓ მარტივი ლიფლეტები, სადაც იქნება რეკომენდაციები სხვადასხვა პირობებში მყოფი ტიპური ფერმებისთვის;
- ✓ ტრენინგები ყველა ზემოაღნიშნულ საკითხზე.

ძირითადი მასალების შემუშავებას უხელმძღვანელებენ სახელმწიფო ექსტენციის ცენტრის სპეციალისტები, რომლებიც იმუშავებენ რეგიონული ცენტრებისა და მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მრჩეველებთან ერთად. მათ დახმარებას გაუწევენ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებათა ექსპერტები, საჭიროების მიხედვით. მასალათა დიზაინისა და გამოცემისთვის საჭირო იქნება პროგრამისტა, დიზაინერთა და გამომცემელთა ჩართვა კონტრაქტის საფუძველზე.

ბროშურები, ლიფლეტები და პოსტერები

ექსტენციის თითოეულ პაკეტში გათვალისწინებული იქნება ერთი, ან მეტი მრავალგვერდიანი ბროშურის გამოცემა, რომლებიც შეიძლება დაურიგდეს ფერმერებს და გამოიყენებოდეს ტრენინგის დროს. ასევე მომზადდება ერთგვერდიანი ლიფლეტების სერია, რომლებიც დიდი რაოდენობით დაიბეჭდება და ფართოდ გავრცელდება წარმოების საშუალებების და მომსახურების მიმწოდებლების, ფერმერთა ასოციაციებისა და კოოპერატივების მეშვეობით, ასევე, თვით ექსტენციის სამსახურის მიერ. ფერმერებისთვის მწვავე საკითხების გაცნობის მიზნით გამოყენებული იქნება პოსტერები, მაგალითად, პესტიციდებისა და დაავადებათა საფრთხეების შესახებ. ლიფლეტებისა და პოსტერების კამპანია დაიგეგმება სეზონის საკვანძო პერიოდების გათვალისწინებით იმგვარად, რომ ფერმერებმა ინფორმაცია ზუსტად საჭირო დროს მიიღონ. მათი შემუშავებისა და გამოცემის პროცესი ძირითადი მასალების გამოცემის პროცესის მსგავსი იქნება. ხშირად ერთი და იგივე მასალა სხვა გამოცემაშიც იქნება გამოყენებული, მაგ.: ძირითადი მასალები ⇒ ბროშურები ⇒ ლიფლეტები & პოსტერები.

ტელევიზია და ვიდეო

ტელევიზია საქართველოში კომუნიკაციის ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალებაა და იგი უმნიშვნელოვანესი ელემენტი იქნება ინფორმაციის გავრცელების სტრატეგიაში. იგი ძალზე ეფექტურია შემდეგი ამოცანებისთვის:

- ✓ ფერმერებისთვის ახალი იდეების გაცნობა;
- ✓ პრაქტიკული მეთოდების (მაგალითად სხვლის) დემონსტრირება;
- ✓ ფერმერებისთვის იმის ჩვენება, თუ მსგავს მდგომარეობაში მყოფი ფერმერები როგორ იყენებენ წარმატებით სხვადასხვა მეთოდებს;
- ✓ ფერმერებში ინტერესისა და მეტი ინფორმაციის მიღების სურვილის გაღვივება.

სატელევიზიო პროგრამები ვრცელი და დეტალური ინფორმაციის გადაცემის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ისინი გამოყენებული იქნება ექსტენციის სამსახურის მიერ, რათა ფერმერების ყურადღება მიაპყროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების სადემონსტრაციო ფერმებს, წარმოების საშუალებების მიმწოდებლებს, ვებგვერდებს და სხვა საშუალებებს, სადაც მათ დეტალური ინფორმაციის მიღება შეუძლიათ. პროგრამების გადაცემა თავდაპირველად მოხდება მთელ ქვეყანაზე მაუწყებელი და რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით, ხოლო შემდეგ განთავსდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში, რათა ფერმერებმა ნახონ ისინი ყოველთვის, როდესაც კი მოისურვებენ. სატელევიზიო პროგრამების ერთ-ერთი მთავარი წყარო იქნება ფერმებში განხორციელებული ცდები და დემონსტრაციების შედეგების შესახებ ინფორმაციები, რომელთა შეგროვება თავიდანვე დაიწყება, რათა საფუძველი ჩაეყაროს, სულ მცირე, ერთ სატელევიზიო პროგრამას.

რადიო

რადიოს, ტელევიზიის მსგავსი ზემოქმედება არა აქვს, მაგრამ იგი ძალზე ეკონომიური გზაა ადამიანთა დიდი რაოდენობისთვის ინფორმაციის გადასაცემად და განსაკუთრებით მოსახერხებელია ისეთი სახის ინფორმაციის დროული მიწოდებისა და შესაბამისი ქმედებებისთვის, როგორცაა გაფრთხილება მავნებლებისა და დაავადებების შესახებ, შეტყობინება მომავალი ღონისძიებებისა და ახლახანს გამოცემული მასალების გაცნობის შესახებ. ამავე მიზნით, ექსტენციის სამსახურის მიერ ინტენსიურად იქნება ასევე გამოყენებული რადიო მარტივი გზავნილების გადასაცემად, რათა შეივსოს ექსტენციის პაკეტის სხვა ელემენტები. რადიოს საშუალებით ინფორმაციის გავრცელება ნაწილობრივ დაეფუძნება

რადიოჟურნალისტებთან რეგულარულ კონტაქტებს, ხოლო ნაწილობრივ - რადიო კომპანიებთან კონტრაქტებს.

გაზეთები

ცნობიერების ამაღლებისა და გზავნილის დროულად გავრცელების საქმეში სატელევიზიო და რადიო გადაცემებს ეფექტურად შეავსებენ გაზეთები, განსაკუთრებით რეგიონული გაზეთები. ადგილობრივი ახალი ამბებისთვის ყველაზე ხელსაყრელი არის ადგილობრივი გაზეთი, სადაც შეიძლება გამოქვეყნდეს ფერმერული ცდებისა და დემონსტრაციების შედეგები, ან გამოქვეყნდეს განცხადებები მათ რაიონში მომავალი ღონისძიებების ჩატარების შესახებ. გაზეთის მეშვეობით ასევე შესაძლებელია უფრო დეტალური ინფორმაციის გადაცემა, ვიდრე ტელევიზიითა, თუ რადიოთი, ფასების ცხრილების, სასუქების პროპორციის და სხვა სახის ინფორმაციის ჩათვლით. გაზეთები ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს საკონსულტაციო ლიფტეტებში მოცემული ზოგიერთი გზავნილის გავრცელების კიდევ ერთ წყაროდ. რეგიონული და მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები კარგ კონტაქტებს დაამყარებენ ადგილობრივი გაზეთების რედაქციებთან და მოამზადებენ ადგილობრივ პირობებში აქტუალურ მასალას, მაღალი ხარისხის სტატიებთან ერთად, რომლებსაც შექმნის თვით სახელმწიფო ექსტენციის ცენტრი, ან მისი დაკვეთით შეიქმნება.

ჯგუფური ექსტენცია

ფერმერთა ჯგუფებთან მუშაობა მრავალმხრივი სარგებლის მომტანია: ერთ მრჩეველს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე ფერმერს ჩაუტაროს კონსულტაცია; ფერმერებს საშუალება ეძლევათ განიხილონ თავიანთი პრობლემები და ისწავლონ არა მხოლოდ მრჩეველებისგან, არამედ ერთმანეთისგანაც. ამ დროს ხდება გამოვლენა ფერმერთა ბუნებრივი დაჯგუფებისა, რაც დროთა განმავლობაში უფრო ფორმალურ ფერმერთა ასოციაციებში, ან კოოპერატივებში გადაიზრდება.

ექსტენციის სამსახურის ჯგუფებთან მუშაობა მოიცავს შემდეგს:

✓ **კონკრეტული სქემების სტრუქტურირებული პრეზენტაციები** კონკრეტულ თემებზე, რომლებიც ზოგჯერ დაფუძნებული იქნება ექსტენციების სამსახურის მიერ უკვე მომზადებულ მასალებზე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სპეციალურად მომზადებული სესიები, რათა რეაგირება მოხდეს ფართოდ გავრცელებულ პრობლემაზე, ან ინტერესთა სფეროში შემავალ საკითხზე;

✓ **ფერმერთა თემატური ჯგუფები**, სადაც ერთად იკრიბება ერთი რომელიმე პროდუქტის მწარმოებელ ფერმერთა ჯგუფი (მაგ., მერძევე ფერმერები) კონკრეტული მიზნის შესათანხმებლად და მისაღწევად (მაგ. გაიზარდოს საშუალო წველადობა 2 ტონამდე თითოეული ძროხიდან). ასეთი შეხვედრები ჩატარდება რეგულარულად და ფასილიტაციას გაუწევს მრჩეველი. თუმცა, განსაკუთრებული აქცენტი მაინც ფერმერთა მიერ ერთმანეთისათვის ცოდნა-გამოცდილების გაზიარებასა და მიზნის მიღწევის ერთობლივი გზების გამომეხსნაზე გაკეთდება.

ინდივიდუალური კონსულტაცია

მრავალ ქვეყანაში ინდივიდუალური კონსულტაციები ექსტენციის უმთავრესი კომპონენტია, მაგრამ საქართველოში, სადაც ყოველ მრჩეველზე 2000-ზე მეტი ფერმერი მოდის, ასეთი მიდგომა არც პრაქტიკულია და არც ეკონომიური. აქედან გამომდინარე, ექსტენციის სერვისის ძირითადი აქცენტი გაკეთდება დემონსტრაციების, მასმედიაში გაშუქების, პუბლიკაციებისა და

ჯგუფური სამუშაოების კომბინაციაზე. თუმცა, ინდივიდუალურ ფერმერებთან მუშაობა ამ ღონისძიებათა ერთობლიობის გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენს და მოიცავს შემდეგს:

✓ ფერმერულ პრაქტიკასთან კონტაქტი ეხმარება მათ გაიგონ ფერმერთა პრობლემები, ნახონ როგორ „მუშაობს“ პრაქტიკაში მათი რჩევები და აღმოაჩინონ ახალი მეთოდები, რომლებსაც ფერმერებმა თავად მიაგნეს;

✓ წამყვან ფერმერებთან სიღრმისეული მუშაობა ეხმარება მათ განახორციელონ ცვლილება, რომელსაც სხვებიც მიზამავენ;

✓ ფერმერთა დარწმუნება, რომ ექსტენციის სამსახური მათთვის არსებობს და საჭიროების დროს ეხმარება მათ.

ინდივიდუალური რჩევების მომსახურება იფუნქციონირებს არაპირდაპირი კონტაქტის მეშვეობით, სატელეფონო კონსულტაციებისა და ელექტრონული ფოსტით კითხვებზე პასუხების გაცემით, ან ვებგვერდზე „განთავსების“ მეშვეობით; ასევე პირისპირ შეხვედრებით ფერმერებში ვიზიტებისას, ან როდესაც ფერმერები საინფორმაციო-საკონსულტაციო ოფისებში მივლენ თავიანთი საჭიროებებისთვის.

E-ექსტენცია

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფერმერი იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ინტერნეტის გამოყენებაში დახელოვნებული არ არის, საქართველო, მობილური სატელეფონო ქსელით ტერიტორიის დაფარვისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ამრიგად, ფერმერები ერთმანეთთან უკვე არიან გარკვეულწილად დაკავშირებულნი. მალე 'სმარტფონი' ჩვეულებრივი მოხმარების საგანი გახდება და ფერმერებსაც თანდათანობით ჩაანაცვლებს ინტერნეტის თაობა, რის შედეგადაც e-ექსტენცია ყველაზე ეფექტური მექანიზმი იქნება. ახლაც კი ფერმერთა უმრავლესობას ჰყავს ოჯახში ვინმე, ვისაც შეუძლია ინფორმაცია უპოვოს ინტერნეტში, თუკი მათ იციან, რომ ასეთი სასარგებლო ინფორმაცია იქ მოიპოვება.

ექსტენციის სამსახური გამოიყენებს თავის ვებგვერდს, ფეისბუქს, „YouTube“-ს და ახალ განვითარებად პლატფორმებს, რათა მათი ინფორმაცია მაქსიმალურად იყოს ხელმისაწვდომი. ამავდროულად, კვლავ გამოიყენებენ ტელევიზიას და მასმედიის სხვა ტრადიციულ სახეებს ყველა ტიპისა და ასაკობრივი ჯგუფის ფერმერამდე გზავნილების მიტანის უზრუნველყოფის მიზნით. პოლიტიკის თვალსაზრისით, სამსახურის მიერ შექმნილი ყოველი ბროშურა, ლიფლეტი და ვიდეომასალა მუდმივად განთავსდება ვებგვერდზე, სხვა სასარგებლო წყაროებზე ბმულების მითითებით.

მოკლე ტექსტური შეტყობინებები (SMS) და სმარტფონის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტური საშუალებაა მიზნობრივი მოკლე გზავნილების მისაწოდებლად კონკრეტული ფერმერებისათვის საჭირო დროს. კომუნიკაციის ასეთი საშუალების პილოტირება წარმატებით მოხდა აგროსერვის ცენტრის მიერ აჭარაში. ეს მეთოდი ასევე აპრობირებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნების ექსტენციის სამსახურების მიერ. საქართველოს ექსტენციის სამსახური დაიწყებს მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და ტვიტერის სერვისების განვითარებას, განსაკუთრებით ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა მავნებლების შესახებ გაფრთხილების კონტექსტში. ამ თვალსაზრისით სამუშაო ჩატარდება სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

თანამშრომლობა წარმოების საშუალებებისა და მომსახურების მიმწოდებლებთან და გადამამუშავებლებთან

ფერმერებს რეგულარული კონტაქტი აქვთ მრავალ დაინტერესებულ მხარესთან, რომლებიც საკვებით, სასუქებითა და პესტიციდებით ვაჭრობენ; ვეტერინარებთან, რომლებიც მათი პირუტყვის ვაქცინაციას უზრუნველყოფენ; მექანიზაციის ცენტრების ტრაქტორის მძღოლებთან, რომლებიც მათ მიწას ხნავენ; ცისტერნების მძღოლებთან, რომლებიც ფერმებიდან მათ რძეს აგროვებენ. ფერმერებს ბევრად მეტი პირდაპირი კონტაქტი აქვთ ამ ადამიანებთან, ვიდრე ექსტენციის სამსახურთან. აქედან გამომდინარე, ღირებულებათა ჯაჭვის დანარჩენი ნაწილი შეიძლება მაღალეფექტურად იქნეს გამოყენებული ფერმერებისთვის რჩევისა და ინფორმაციის მისაწოდებლად. გარდა ამისა, მომსახურების ისეთ მიმწოდებელთა ტრენინგი, როგორებიც არიან ვეტერინარიის და მექანიზაციის სფეროს კოტნრაქტორები, ფერმებში ახალი მეთოდების პირდაპირ გამოყენებას შეუწყობს ხელს. ექსტენციის სერვისი ამ შესაძლებლობას გამოიყენებს შემდეგი გზით:

✓ ლიფლეტების, ბროშურების და პოსტერების მოთავსება ყველა შესაბამის ადგილზე, სადაც ფერმერები ხშირად იმყოფებიან, მათ შორის, წარმოების საშუალებების შესაძენ მაღაზიებში, ფერმერთა მომსახურების და ვეტერინარულ ცენტრებში, ბაზრებში და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში;

✓ პროდუქციის შემსყიდველებისა და გადამამუშავებელთა, მაგალითად, რძისა და ციტრუსის შემსყიდველების ჩართვა მიზნობრივ კამპანიაში, რათა მასალები გავრცელდეს ფერმერთა კონკრეტულ ჯგუფებში. ეს განსაკუთრებით ეფექტური იქნება მაშინ, როდესაც მყიდველი დაინტერესებულია ფერმერებს შორის გაავრცელოს გზავნილი, ვთქვათ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ;

✓ მექანიზაციის ცენტრების მენეჯერებისა და ოპერატორების ტრენინგი ტექნიკისა და მომსახურების ვადების გაუმჯობესების შესახებ. ასევე, მათი ცოდნის ამაღლება იმ სათესლე მასალის, სასუქებისა და პესტიციდების ტიპებისა და გამოყენების პროპორციების შესახებ, რომლებიც მათ შეაქვთ ფერმერთა მიწებში;

✓ ვეტერინართა და ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკოსთა ტრენინგი მათ მიერ მიწოდებული მომსახურებისა და მკურნალობის სფეროში. ასევე, მათი ჩართვა ფერმერთა შორის პრევენციული ჯანმრთელობის შესახებ გზავნილების გავრცელებაში.

ექსტენციის პაკეტების გავრცელების გეგმები

კონსულტაცია განსაკუთრებით ეფექტური იქნება მაშინ, როდესაც იგი ფერმერამდე მივა საჭირო დროს და საჭირო ადგილზე. აქედან გამომდინარე, თითოეული ექსტენციის პაკეტისთვის შეიქმნება გავრცელების დეტალური გეგმა განსაზღვრული მასალებისა და საშუალებების გამოყენებისთვის. ქვემოთ მოცემულია ექსტენციის პაკეტების გავრცელების კონკრეტული გეგმა ვადების მიხედვით მსხვილი რქოსანი პირუტყვის სექტორში დაბლობი რეგიონებისთვის

მსხვილფეხა პირუტყვი	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოე	დეკ
ოპერაციითა კალენდარი		ხბოს მოვლა			შეჯვარება							
ძროხები		ადრეული ლაქტაცია			შუა ლაქტაცია			გვიანი ლაქტაცია				
ხბობი		დაზადება რძით კვება	ასხლეტა უხეში საკვებ			მოვება				მოზგრების დაკვლა		
სამოვარი		მინიმალური	ზრდადი		მაქსიმუმი		კლებადი		დაბალი			მინიმალური
ლიფლეტების გავრცელება												
უკეთესი კვება												
უკეთესი მოვლა												
უკეთესი სამოვარი												
ბროშურები												
მისაწვდომია სს-ში												
გამოიყენება ზამთრის სკოლებში												
სადემონსტრაციო ფერმები												
მისაწვდომია ვიზიტისთვის												
ორგანიზებული ღონისძიებები												
მასმედია												
ლიფლეტების გავრცელება												
PR ღია დღეებისთვის												
PR ზამთრის სკოლებისთვის												

მოცემულ დიაგრამაში ნაჩვენებია დროში გაწერილი ქმედებების ჩამონათვალი, რაც ინფორმაციის გავრცელების ფართომასშტაბიანი კამპანიის ფორმირებისთვისაა აუცილებელი:

ლიფლეტების დარიგება:

✓ კვებისა და მოვლის შესახებ ლიფლეტების დარიგება მოხდება ხბოს მოვებისთანავე. ლიფლეტების უმთავრესი გზავნილი ადრეული ლაქტაციისთვის სათანადო საკვების მიცემა იქნება, რაც ძროხისაგან რძის მაქსიმალური რაოდენობით მიღებისა და ხბოს ჯანმრთელი განვითარების მიზანს ემსახურება;

✓ კვებისა და მოვლის შესახებ ლიფლეტების დარიგების მეორე ეტაპი დაიწყება ძროხების სამოვარზე დაბრუნების მომენტამდე. მოვლის შესახებ ლიფლეტი ფოკუსირებული იქნება პარაზიტებისაგან დაცვაზე, ხოლო კვების ლიფლეტში ფერმერებს მიაწვდიან რჩევებს გარკვეული დამატებითი კვების საჭიროების შესახებ მაშინაც კი, როდესაც წველადობა კვლავაც მაღალია;

✓ კვების საკითხზე ბოლო ლიფლეტი დარიგდება ბალახის კლების შემდეგ, ზაფხულის ბოლოს, სადაც ახსნილი იქნება, თუ როგორ შეიძლება შედარებით იაფფასიანი საკვები მასა ბალახის ჩასანაცვლებლად გამოიყენებოდეს;

✓ სათიბების შესახებ ორი ლიფლეტი მიეძღვნება განოყიერებას ბალახის ზრდის პიკის პერიოდში, ხოლო თივის კარგად დამზადებას - როდესაც ბალახი მოსათიბად უკვე მზად იქნება.

ბროშურებში თავმოყრილი იქნება ლიფლეტებში მოცემული მთელი ინფორმაცია. ფერმერები მას მიიღებენ მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებით გამოსადეგი იქნება ფერმერთა ზამთრის სკოლებში ჩატარებულ ტრენინგებზე.

სადემონსტრაციო ფერმების დახმარება და მონიტორინგი მთელი წლის განმავლობაში მოხდება. წელიწადის მნიშვნელოვან პერიოდებში ჩატარდება ღია კარის დღეები და მასმედიაში გაშუქდება შემდეგი საკითხები:

- ✓ კვება და ხბოების მოვლა ადრეული ლაქტაციის პერიოდში;
- ✓ სეზონის საწყის ეტაპზე საძოვრების გამოყენება, ძოვებისა და ნიადაგის განოყიერების მართვის ჩათვლით;
- ✓ თივის დამზადება და სეზონის შუა ნაწილში კვება;
- ✓ ლაქტაციის დასასრული, მიღებულ ფიზიკურ და ფინანსურ რესურსებზე ფოკუსირება.

მასმედია გამოყენებული იქნება ძირითადი გზავნილების პირდაპირი გზით გადაცემისთვის, რათა ფერმერებმა შეიტყონ როდის იქნება მზად ახალი ლიფლეტი და მოიწვიონ ისინი ღია კარის დღეებზე. აქ მითითებული სექტორების შესაბამისი ლიფლეტებისა და ბროშურების გარდა, სასარგებლო იქნება სხვადასხვა აქტუალური საკვანძო მასალის გავრცელება, რომელიც მრავალ სექტორს მოიცავს.

კარტოფილის კულტურისთვის გავრცელების გეგმა მოცემულია მეცხოველეობისათვის გამოყენებული მეთოდის მსგავსად:

კარტოფილი	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოე	დეკ
ოპერაციათა კალენდარი												
საადრეო კარტოფილი			თესლის შერჩევა	თესვა	ზრდა	დაავადების რისკი	მოსავალი	მონაცვლე სიმინდის კულტურა				
საგვიანო კარტოფილი			თესლის შერჩევა	თესვა	ზრდა	მოსავალი						
ლიფლეტების გავრცელება												
უკეთესი თესვა												
უკეთესი განაყოფიერება												
უკეთესი დაცვა												
ბროშურები												
მისაწვდომია სსც-ში												
გამოიყენება ზამთრის სკოლებში												
სადემონსტრაციო ფერმები												
მისაწვდომია ვიზიტისთვის												
ორგანიზებული ღონისძიებები												
მასმედია												
ლიფლეტების გავრცელება												
დაავადებებსა და მავნებლებზე გაფრთხილება												
PR ზამთრის სკოლებისთვის												

რაოდენობრივი სამიზნე. მიზნობრივი ბენეფიციარების შესახებ მონაცემები შეიძლება დავუკავშიროთ ამ განყოფილებაში განსაზღვრულ კონკრეტულ აქტივობებს, რათა მივიღოთ რაოდენობრივი სამიზნეები თითოეული პაკეტისთვის. ისინი ეფუძნება შემდეგ მიზნებს:

- ✓ ლიფლეტების დარიგება, სულ მცირე სამიზნე ფერმერთა 25%-სთვის;
- ✓ ბროშურების დარიგება, სულ მცირე სამიზნე ფერმერთა 10%-სთვის;
- ✓ სამიზნე ფერმერთა სულ მცირე 5 %-ის მონაწილეობა ოფიციალური ტრენინგის სესიებში;
- ✓ სამიზნე ფერმერთა სულ მცირე 5%-ის ხელშეწყობა, რომ მათ იმოქმედონ ექსტენციის ერთი, ან მეტი გზავნილის შესაბამისად იმგვარად, რომ ექსტენციის კამპანიამ რეალური ზეგავლენა იქონიოს პროდუქტიულობასა და მომგებიანობაზე. ჩვეულებრივ, ამ ზეგავლენის მიღწევას ექსტენციის კამპანიის დაწყებიდან ერთი, ან ორი სრული წელი დასჭირდება.

ცოდნის ბაზა

ექსტენციის სტრატეგიის საკვანძო ნაწილი, როგორც ეს ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების სპეციფიკურ პირობებშია გაწერილი „ექსტენციის პაკეტების“ მომზადებაა, რომელიც მოიცავს მრჩევლებისა და ფერმერების მიერ გამოსაყენებელ მასალებს, გავრცელების სპეციფიკურ გეგმასთან და ყოველ პაკეტთან დაკავშირებულ რაოდენობრივ სამიზნესთან ერთად. საქართველოში ადგილობრივმა, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უკვე მოამზადეს დიდი რაოდენობით მაღალხარისხიანი მასალა, თუმცა ეს მასალა საკმაოდ შეზღუდულ აუდიტორიას მიეწოდება პროექტების ფუნქციონირების ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში. ამგვარად, ექსტენციის სამსახური შექმნის და შეინარჩუნებს ექსტენციის რესურსების „ცოდნის ბაზას,“ რომელზედაც თავისუფლად მიუწვდება ხელი ყველა ექსტენციონისტს ინტერნეტის მეშვეობით და რომელიც მომავალში ექსტენციის პაკეტების მომზადების კარგი ათვლის წერტილი იქნება. ცოდნის ბაზა მოიცავს ელექტრონულ კატალოგს, ვებ გვერდზე განთავსებული კლიენტის ინტერფეისით, რომელიც უკავშირდება ფიზიკურ და ელექტრონულ ბიბლიოთეკას, მათ შორის აუდიო და ვიდეო მასალას და კომპიუტერულ პროგრამას, ასევე ონლაინ რეჟიმში დასათვალიერებელ და დასაბეჭდად გამზადებულ ტექსტებს. ეს შემუშავდება პროექტის დახმარებით საპილოტე და განვითარების ფაზებზე და საბოლოოდ სახელმწიფო ექსტენციის სამსახურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდება, რომელზედაც პასუხისმგებელი თითოეული ტექნიკური და სპეციალიზებული ერთეული მას თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიმოიხილავს და დამატებითი მასალებით შეავსებს.

მონიტორინგი და უკუკავშირი

ექსტენცია ყოველთვის აწყდება რისკებს. სახელმწიფოს დაფინანსებით არსებული ექსტენციის ერთ-ერთი უმთავრესი რისკი ისაა, რომ ის შესაძლოა ინსტიტუციების მიერ გახდეს მართული და დაკარგოს კავშირი საბოლოო კლიენტებთან - ფერმერებთან. საპროექტო მიდგომაზე დაფუძნებული ექსტენციის რისკი ისაა, რომ იგი ზედმეტად ფოკუსირებული ხდება პროექტის ისეთ საბოლოო მიზნებზე, როგორცაა ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, ან დაბეჭდილი ბროშურების რიცხვი, რის გამოც შესაძლებელია ფერმერების მოგებაზე დადებითი ზეგავლენის მქონე საკითხის იგნორირება მოხდეს. სახელმწიფო ექსტენციის სამსახურის წინაშე მდგარი პოლიტიკური რისკი იმაში მდგომარეობს, რომ მოკლევადიან პერიოდში ვერც სამინისტრო და ვერც ფერმერები შესაძლოა ვერ ხედავდნენ ექსტენციის ზეგავლენას ისევე სწრაფად, როგორც ეს გრანტებისა და სუბსიდიების შემთხვევაშია ხილული. ყველა ეს რისკი, თუ მათ სათანადოდ არ ვუპასუხებთ, შესაძლოა ექსტენციის სისტემის ჩავარდნის მიზეზი გახდეს. ამ რისკების თავიდან ასაცილებლად ექსტენციის სამსახური შემოიღებს ხუთი კომპონენტისგან შემდგარ მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო ჩარჩოს, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფას. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მთელი არსი მენეჯერების სასარგებლო ინფორმაციით უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი მონაცემი, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაში და ექსტენციის სისტემასთან უკუკავშირის დამყარებაში არ გამოიყენება, საჭირო არ არის და არ უნდა შეგროვდეს. მონიტორინგის მონაცემები უნდა შეგროვდეს „ამოყირავებული პირამიდის“ პრინციპით, რაც მოიცავს შემდეგს:

✓ ძალიან მოკლე ინფორმაცია ინდივიდუალურ ფერმერებზე, რომელიც იქმნება ექსტენციის სამსახურთან კონტაქტისას უპირველეს ყოვლისა *აქტივობებისა და დაფარვის* გასაზომად;

✓ რეგულარული სატელეფონო შემდგომი გამოკითხვები ფერმერთა წარმომადგენლობით შერჩევასთან *რეაქციისა და ათვისების* შესაფასებლად;

✓ უფრო დეტალური კვლევები ფერმერთა მცირე ჯგუფისათვის *ზეგავლენის* შესაფასებლად.

დიდი ბრიტანეთის მთავრობისა და ევროკავშირის მიერ გამოყენებული მიდგომით, ზოგადად, ორგანიზაციის ბიუჯეტის 5%-მდე მონიტორინგისა და შეფასებისთვის უნდა გამოიყენებოდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მრჩეველი ტელეფონით ფერმერისთვის რჩევის მისაწოდებლად 20 წუთს ხარჯავს, ძირითადი საკითხების ჩასაწერად ყველაზე მეტი ერთი წუთი დაეხარჯება. ეს მოითხოვს კარგად შედგენილი და მაღალეფექტიანი აღრიცხვის სისტემის შექმნას, რომელიც შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით მენეჯერთათვის საჭირო ანგარიშს შექმნის. მონიტორინგისა და შეფასების საპილოტე სისტემა შემუშავდება ექსტენციის სტრატეგიის საპილოტე ფაზაზე ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამის შესაბამისად.

სასოფლო-სამეურნეო რჩევა-კონსულტაციის სისტემის მონიტორინგისა და ანალიზის სისტემა

ინსტრუმენტი	ტექნოლოგია	დაფარვა	მიზანი
<p>1</p> <p>ფერმერის საკონტაქტო ფორმა</p>	<p>A4 ერთი ფურცელი ოპტიკური წამკითხველი ანალიზი Excel-ში ან Access-ში</p>	<p>ყველა კონტაქტი ფერმერთან</p>	<p>1. სტრატეგიული მონიტორინგი 2. შემდგომი ქმედების ფასილიტაცია</p>
<p>2</p> <p>შემდგომი სატელეფონო გამოკითხვები</p>	<p>რეგულ. გამოკითხვა ტელეფონით ნაბეჭდი სია + მონაცემთა შეყვანის ფორმა ოპტიკური წამკითხველი ანალიზი Excel-ში ან Access-ში</p>	<p>დაკონტაქტებულ ფერმერთა შერჩევა სტრატეგიული კონტაქტის ტიპი</p>	<p>1. მომსახურ. ხარისხის შეფასება 2. ფერმერთა საჭიროების შეფასება</p>
<p>3</p> <p>თემატური შემდგომი გამოკითხვები</p>	<p>პერიოდული პირადი გამოკითხვა სპეციფიკურ საკითხებზე ფოკუსირებული გამოკითხვა მონაცემთა შეყვანა ხელით ანალიზი Excel-ში, ანგარიში Word-ში</p>	<p>თემასთან დაკავშირებულ ფერმერთა გამოკითხვა დაკონტაქტებული ფერმერები + დაუკონტაქტებელი საკონტროლო ჯგუფი</p>	<p>1. სიდრმისეული შეფასება, თუ როგორ პასუხობენ ფერმერები რჩევას</p>
<p>4</p> <p>მთლიანი მოგების ჩანაწერის ფორმა</p>	<p>A4 ერთი ფურცელი მონაცემთა შეყვანა ხელით ანალიზი Excel-ში</p>	<p>გავრცელება ყველა შესაბამის საკონტაქტო პირთან თვითშერჩევითი ნაწილობრივი დაბრუნება(შერჩევა) შედარება რეგულარულ მთლიანი მოგების გამოკითხვასთან</p>	<p>1. რჩევის ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება</p>
<p>5</p> <p>მთლიანი მოგების კვლევა</p>	<p>ოგივე რაც „მთლიანი მოგების ფორმისათვის“ გავრცობილი სხვა დარგებისთვისაც ფასების გადამოწმება საბაზრო ინფორმაციის სისტემის მონაცემებთან</p>	<p>სტრატეგიული გამოკითხვა რეგიონის, დარგისა და ფერმის ზომის მიხედვით სამწლიანი „მოძრავი“ შერჩევის პროგრამა</p>	<p>1. სხვადასხვა დარგების მომგებიანობის შედარება 2. მომგებიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა 3. რჩევის ზეგავლენის შეფასების საწყისი მონაცემის დადგენა</p>

კლიენტების მონაცემთა ბაზა

მონიტორინგისა და შეფასების წარმოდგენილი სისტემის სრულად დასანერგად ექსტენციის სამსახურს დასჭირდება იმ ფერმერთა ნუსხის შედგენა, რომელთაც რჩევა-კონსულტაციას აწვდის, ასევე შერჩევაც, რომლიდანაც უნდა გამოყოს ფერმერების ქვეჯგუფი შემდგომი სატელეფონო და პერსონალური გამოკითხვების ჩასატარებლად. ეს მომსახურება ასევე მოითხოვს კლიენტების მონაცემთა ბაზას პროაქტიული ექსტენციის შესაბამისად დამისამართებისათვის, მაგალითად მაშინ როცა ტარდება შემდეგი სამუშაოები:

- ✓ შესაბამის ფერმერებთან ლიფლეტების გავრცელება;
- ✓ SMS მეშვეობით ინფორმაციისა და გაფრთხილების გაგზავნა;
- ✓ ფერმერებთან დარეკვა სემინარებზე დასწრებისა და ფერმერთა ჯგუფებში მათ ჩასართავად;
- ✓ სადემონსტრაციო საქმიანობის პოტენციური მასპინძელი ფერმერების გამოვლენის დასაწყებად.

გადამისამართების ამოცანის შესასრულებლად მონაცემთა ბაზა მოითხოვს საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის მონაცემებს, რომლებიც მოიცავს ფერმერთა საკონტაქტო დეტალებს, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის დარგების ჩამონათვალს, ასევე იმასაც, თუ რამდენად მცირე, საშუალო თუ დიდია ესა თუ ის დარგი ფერმერის დონეზე. ირლანდიური სამრჩევლო სამსახური Teagasc-ი ამ მონაცემთა A5-ის ზომის ერთ ფურცელზე მოგროვებას ახერხებს, რომელიც იმ საფოსტო ბარათს ჰგავს, რომლის შევსებაც და უკან გადაგზავნაც ფერმერებს ორ წუთში შეუძლიათ. მონაცემთა ბაზის ჩანაწერები დროთა განმავლობაში კლიენტის მდგომარეობის კარგი სურათის შექმნის შესაძლებლობას იძლევა და აჩვენებს, თუ რა ტიპის რჩევები მოითხოვს ფერმერმა წარსულში და რა მოიმოქმედა მან მიღებული რჩევების საფუძველზე. ამისათვის ინფორმაცია მოიპოვება „ერთწუთიანი მონიტორინგის“ ფორმის საფუძველზე, რომელსაც მრჩევლები თითოეული ინდივიდუალური კონტაქტის შემდეგ ავსებენ.

ინფორმაციის საგზაო რუკა

ექსტენციის სამსახურს, ისევე როგორც სამინისტროს დანარჩენ ნაწილს სხვადასხვა მიზნებისთვის განსხვავებული ინფორმაცია სჭირდება:

- ✓ სტრატეგიული დაგეგმვისა და რაოდენობრივი მიზნების დასახვისათვის, ექსტენციის სამსახურის მუშაობის დამგეგმავებს თითოეულ რეგიონში მთლიანად დამუშავებული ფართობებისა და ფერმერთა რიცხვის ცოდნა სჭირდებათ. მათ არ სჭირდებათ ცალკეულ ფერმერთან დაკავშირებული სპეციფიკური ინფორმაცია. ეს სტატისტიკური მონაცემებია და მათ მიწოდებას სულ უფრო ზუსტად და დროულად საქსტატი უზრუნველყოფს თავისი სისტემების მოდერნიზაციისა და ევროკავშირის ევროსტატის მეთოდოლოგიასთან ჰარმონიზაციის კვალობაზე;

- ✓ ექსტენციის სამსახურის საქმიანობის დაფარვის შესაფასებლად სამსახურს სჭირდება საბაზო მონაცემები ყველა იმ ფერმერზე, რომელთანაც პირდაპირი

კონტაქტი შედგა, ასევე სატელევიზიო და რადიო აუდიენციისათვის, ინტერნეტ გვერდების ნახვებისა და YouTube ჩამოტვირთვებისათვის და სხვა;

✓ პროაქტიული საექსტენციო აქტივობების მიზნობრივი წარმართვისათვის სამსახურს სჭირდება კლიენტების მონაცემთა ბაზის შექმნა;

✓ ექსტენციის საქმიანობის ზეგავლენის შესაფასებლად სამსახურს შერჩეული ფერმერების ჯგუფის მონაცემების შესწავლის საფუძველზე საკმაოდ დეტალური მონაცემები სჭირდება.

ინფორმაციის ეს სხვადასხვა ქვესისტემა უნდა შეეწყოს ერთმანეთს სრულფასოვანი საინფორმაციო სისტემის ფარგლებში, რომელიც გაცილებით უფრო ზუსტი და ეფექტიანია იმასთან შედარებით, რაც ყველა ტიპის ინფორმაციის შეგროვება იქნებოდა. ეს სისტემა შესაძლოა შემუშავდეს ექსტენციისათვის, თუმცა მიდგომები შესაძლოა გადატანილ იქნას სამინისტროს დანარჩენ საინფორმაციო მოთხოვნებზეც.